ლელო

№ 72
(11 221)

11 – 14 სექტემბერი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# რა ხდება ქუთაისში?

**„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი იმერეთის მხარეში გოგა მინდელი დაწვრილებით გვიამბობს:**

შარშანდელ საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ქუთაისელი გულშემატკივრების ძირითადი მოთხოვნა — „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის სოსო ფრუიძის გადაგომა იყო. ბოლო მატჩებში გამოჩნდე კიდეც ტრანსპარანტი: „ფრუიძე, დატოვე „ტორპედო!"

შარშან ევროტურნირის საგზურის მოპოვება წარმატებად შეიძლებოდა ჩათვლილიყო, მაგრამ გულშემატკივარი მაინც უკმაყოფილო იყო — გუნდი სისტემატურად მარცხდებოდა პრინციპულ მატჩებში, მიუხედავად იმისა, რომ რიგ შეხვედრებში „ტორპედოს" აშკარა უპირატესობა ჰქონდა, მისი რეალიზება არა და არ ხერხდებოდა. საკამათო იყო მწვრთნელის არჩევანი შეცვლებისას, სათამაშო სტრატეგია და ტაქტიკა. ძირითადად ეს იყო გულშემატკივართა წყრომის მიზეზი. მიუხედავად ამისა, კლუბის ხელმძღვანელობამ ფრუიძეს მისცა საშუალება „ინტერტოტოს თასზე" ეთავკაცა გუნდისათვის. სომხური ბარიერის იოლად გადალახვის შემდეგ ბელგიური „ლომელის" ძლევაც არ წარმოადგენდა სიძნელეს — სტუმრად მოგებული მატჩის შემდეგ მწვრთნელმა, საშინაო შეხვედრაში, მცდარი სათამაშო გეგმა აირჩია, რამაც საბოლოო ჯამში ქუთათურებს საშუალება არ მისცა წარმატებისთვის მიეღწიათ.

მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატი „ტორპედომ" კარგად დაიწყო და ლიდერთა რიგებში „დასახლდა". რამდენიმე გამარჯვების შემდეგ შინ ბათუმის „დინამო" მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში 3-1 უგებდა, კაცნაკლულ სტუმართა გუნდს, „მოახერხა" ფრედ დაესრულებინა ეს მატჩი. ამან საბოლოოდ აღაშფოთა ქუთაისელი გულშემატკივარი და არა მარტო იგი — თვით იმერეთის მხარის გუბერნატორმა თეიმურაზ შაშიაშვილმა სასტიკად გააკრიტიკა გუნდის ხელმძღვანელობა მეორე დღეს სატელევიზიო გადაცემაში. ამის შემდეგ სოსო ფრუიძე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ გუნდში აღარაფერი ესაქმებოდა და გადადგომა გამოაცხადა. ეს მოხდა მეხუთე ტურში „ვიტ-ჯორჯიასთან" პრინციპული მატჩის წინა დღეს. კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ჯემალ ხერხაძეს. ასე რომ, ქუთაისელი ფანების მთავარი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. დადგა დრო, რომ „ტორპედომ" ბოლოს და ბოლოს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვოს.

*P.S. როგორც შეიტყვეთ, ამ დღეებში პირველი ჯგუფის გუნდის კიდევ ერთმა მთავარმა მწვრთნელმა დატოვა პოსტი – ბოლნისის „სიონიდან" წავიდა ბორის დუდაური. მის მოვალეობას ასრულებს ფირუზ რეხვიაშვილი.*

# რატომ ვერ იცლის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კალათბურთისთვის?

**აუუ!**

პრეზიდენტებს ბევრი უფლება აქვთ საერთოდ, მაგრამ არა იმდენი, რომ საქმე, რომელიც ანდეს, თუ ინდო, ბედის ანაბარა მიაგდოს. ფედერაციების პრეზიდიუმის სხდომა იშვიათად იმართება, მაგრამ, როცა აუცილებელია მისი ჩატარება, მოუცლელობა რა მოსატანია. კალათბურთში ეროვნული ჩემპიონატი კარს მოგვადგა, დიდი ხნით ადრე დაითქვა ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომის ჩატარების თარიღი, სადაც ვინ-ვინ, მაგრამ ამ ფედერაციის პრეზიდენტის დაუსწრებლობა არამც და არამც არ შეიძლებოდა. თუმცა, თურმე შეიძლება, თუნდაც დღის წესრიგში ისეთი საკითხები იდგეს, რომელთა გადაწყვეტა, უბრალოდ, წარმოუდგენელია ფედერაციის თავკაცის გარეშე. ჰოდა, არც ეს პრეზიდენტი გამოცხადდა სხდომაზე. ეს სხდომა, საერთოდ, არ გამართულა და, აქედან გამომდინარე, არც ეროვნული ჩემპიონატის ბედი გარკვეულა (სხდომას ვერ დაესწრებაო თურმე, გ. ქათამაძის მძღოლმა (?!) ამცნო ფედერაციას). ახლა კაცმა არ იცის, როდის დაიწყება ჩემპიონატი და, საერთოდ დაიწყება თუ არა. ჩატარების სხვა ხელისშემშლელი მიზეზიცაა, მაგალითად, მონაწილე გუნდებს 10 სექტემბრამდე უნდა შეეტანათ დადგენილი თანხა. 15 სექტემბრამდე კი საფასურს ჯარიმით გადაიხდიან. 9 სექტემბერს არც ერთ გუნდს არ შეუტანია ეს ფული. გუშინაც დიდად არ შეცვლილა მდგომარეობა. დღის ბოლოსთვის მხოლოდ ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰქონდა ფული გადახდილი. რა მოხდება? დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

ც. ბაქრაძე

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი V ტური

გორდა (რუსთავი) – არსენალი (თბილისი) 0-1
თსუ – დინამო (თბილისი) 1-3
სიონი (ბოლნისი) – მერანი-91 (თბილისი) 1-4
კოლხეთი-1913 (ფოთი) – სამგურალი (წყალტუბო) 4-2
ოდიში (ზუგდიდი) – დილა (გორი) 2-1
დინამო (ბათუმი) – გურია (ლანჩხუთი) 4-0
იბერია (სამტრედია) – ლოკომოტივი (თბილისი) 2-3
ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – ტორპედო (ქუთაისი) 1-2

იხ. მე-3 გვ.



ლევან ხომერიკი

### გათამაშების ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 4 | 4 | 0 | 0 | 21-4 | 12 |
| ლოკომოტ. (თბ) | 5 | 3 | 2 | 0 | 8-3 | 11 |
| ტორპედო (ქთ) | 4 | 3 | 1 | 0 | 13-6 | 10 |
| დილა (გორი) | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| იბერია (სამტ) | 5 | 3 | 0 | 2 | 12-10 | 9 |
| ვიტ-ჯორჯია (თბ) | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| კოლხეთი (ფთ) | 5 | 2 | 1 | 2 | 9-9 | 7 |
| მერანი-91 (თბ) | 5 | 1 | 3 | 1 | 6-7 | 6 |
| ოდიში (ზუგდ) | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| დინამო (ბთ) | 5 | 1 | 2 | 2 | 9-8 | 5 |
| არსენალი (თბ) | 5 | 1 | 2 | 2 | 4-10 | 5 |
| გურია (ლანჩხ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-11 | 4 |
| სამგურალი (წყალ) | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |
| სიონი (ბოლნ) | 5 | 1 | 1 | 3 | 8-16 | 4 |
| თსუ (თბ) | 5 | 1 | 0 | 4 | 3-9 | 3 |
| გორდა (რუსთ) | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |

### ბომბარდირები

ლევან ხომერიკი — «დინამო» (თბ.) — 7
მიხეილ აშვეთია — «დინამო» (თბ.) — 4
დავით ქაქაშვილი — «არსენალი» (თბ.) — 4
ზურაბ იონანიძე — «ტორპედო» (ქთ.) — 4

*მორიგი ტურის მატჩები 12, 13 და 14 სექტემბერს გაიმართება. უეფას თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს" მონაწილეობის გამო „დინამო" — „კოლხეთი-1913"-ის შეხვედრა გადატანილია.*

# ხელბურთელი ვაჟებიც, ქალებიც ევროთასებში ჩაერთვნენ

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზს ყოველდღიურად, 15 საათიდან, ახლა „სტუ-შევარდენის" ხელბურთელები დაეპატრონენ. ისინი ინტენსიურად ემზადებიან ევროპის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩისათვის, რომელიც კვირას, 13 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება. ჩვენებს მეტოქედ ბოსნიის ტრავნიკის „ბორაცი" ეყოლებათ, პირველი მატჩი ქართველმა ხელბურთელებმა სტუმრად გამართეს და დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ შეხვედრა ფრედ დაასრულეს 24:24.

„სტუ-შევარდენის" თავკაცები ზაზა დოლიძე, ზურაბ კეკელიძე, ჯემალ ბარამიძე და ალეკო კიკაბიძე თვლიან, რომ საპასუხო შეხვედრაში ქართველ ხელბურთელებს წარმატების მიღწევა სავსებით ძალუძთ. თუ ასე მოხდა სტუდენტთა შემდეგი მეტოქე ტიტულოვანი ესპანეთის „ბარსელონა" იქნება.

ასევე ევროპის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპში იასპარეზეს ქართველმა ხელბურთელმა ქალებმა. პირველი ბარიერი თბილისის „მართვემ" უკვე დაძლია: ორი მატჩის ჯამში კვიპროსის ჩემპიონს სძლია (ორი შეხვედრა ჩვენებმა სტუმრად ჩაატარეს – 19:20, 27:19) და ახლა მეთექვსმეტედფინალში მათი მეტოქე იქნება გერმანიის ქალაქ ლაიპციგის გუნდი.

# ვაჟა სიხარულიძე მეათე ცდაზეც ჯიბეცარიელი გამოცხადდა ხაზინიდან – დეპარტამენტში

**ფიალა...**

ჩვენი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს უფროსი ვაჟა სიხარულიძე, სამუშაოს, ბოლო ხანს, სახელმწიფო ხაზინიდან და ფინანსთა სამინისტროდან იწყებს. დეპარტამენტის თანამშრომლებს, ფედერაციებს, სხვა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს 10 თვეა ხელფასი და სტიპენდია არ მიუღიათ. აღარაფერს ვამბობთ სხვა ვალებზე. ვ. სიხარულიძის ზედიზედ მეათე ცდაც უნაყოფო გამოდგა, დეპარტამენტის წინ ყოველდღე მომლოდინე სპორტის მუშაკებს და მოვალეებს კიდევ ერთხელ წაუხდათ ხასიათი, კიდევ ერთხელ და ზევით აიწია მოთმინების ფიალის დონემ. არადა, ნამდვილადაა მოსალოდნელი (ხელფასებზე აღარაფერს ვამბობთ), რომ ამ წლის დარჩენილ ტურნირებში და საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩვენმა სპორტსმენებმა მონაწილეობა აღარ მიიღონ. ეს კი ნამდვილად არ წაადგება სასიკეთოდ საქართველოს პრესტიჟს და არა მხოლოდ სპორტულს. დღეს უკვე ტემპაღებული ქართული სპორტის შემობრუნება მერე უსაშველოდ ძვირი დაგვიჯდება. ანდა, შემობრუნდება კი?



*ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო ხაზინისაგან განსხვავებით, ლელოელები ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას, ბატონო ვაჟა!*

# თეირანიდან მედლებს ველოდით, მაგრამ...

თეირანში საოცარი ამბები ხდება და ამის მთავარი მიზეზი სპორტია. ჯერ იყო, ორი თვის წინათ, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ირანელმა ფეხბურთელებმა ამერიკელებთან ისტორიულ გამარჯვებას მიაღწიეს, აზიელ ქალებს ორიოდე დღით ჩადრის მოხდის ნებართვა მისცეს — დაე, კაცებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ საერთო-სახალხო დღესასწაულშიო. ახლა კი, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, თეირანში ქალებს კვლავ გაუმართლათ — ისინი კაცების გვერდით სპორტის სასახლეში კვლავ უჩადროდ სხედან და [illegible] უჭერენ მხარს თანამემამულე მოჭიდავეებს... მსოფლიო ჩემპიონა-

იხ. მე-5 გვ.

## არადა, ყველაფერი გორის საოლიდან დაიწყო

იხ. მე-2 გვ.

## წოდების მინიჭება

ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისა, ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდაში გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ***„სპორტის დამსახურებული მუშაკის"*** წოდება მიანიჭა ***ბორის აბრამიშვილს.***

**მძიმე ბრალდებები**

# მორიგი ამბოხება ქართულ ფეხბურთში

## რუსთაველთა თქმით, სფფ-ს მესვეურთა 80 პროცენტს ფულის კეთების მეტი არაფერი აინტერესებთ

საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე რუსთავის სკ „გორდას" მესვეურებმაც საჯაროდ განაცხადეს, რომ ქართულ ფეხბურთში კორუფცია მეფობს და იგი სათავეს ფედერაციაში იღებსო. ამაში, თითქოსდა, გასაკვირი არაფერია, ასეთი განცხადებები არაერთხელ გაკეთებულა და ისინი უმეტესწილად ჩვენი ფეხბურთის მამების რეაგირების გარეშე რჩებოდა. ვფიქრობთ, საქმე უფრო რთულადაა და სფფ სირაქლემას პოზიციას ველარ დაიჭერს — მთავარ მბრალმდებლად მოგვევლინა პარლამენტარი და ფედერაციის აღმასკომის წევრი ლაშა მინდელი. მისი თქმით: „არჩევნების გადატანის მომხრე ვიყავი, ქაოსი მოსალოდნელიც იყო, მაგრამ ვერავინ იფიქრებდა, რომ იგი ასეთ მასშტაბებს მოიცავდა. სფფ-ს მესვეურთა 80 პროცენტი ფულს აკეთებს, ეს განსაკუთრებით მსაჯებს და საშეჯიბრო განყოფილებას ეხება. ალბათ ფიქრობენ, სანამ ადგილზე ვართ, მოვასწროთო..."

ისე, მორიდებულად შევნიშნავთ, თუ არა ვცდებით, ბატონი ლაშა მინდელი 3-4 წელი მაინცაა სფფ-ს აღმასკომის წევრია და მან მშვენივრად იცოდა, რაც სინამდვილეში ხდებოდა ქართულ ფეხბურთში — რა, გუშინ შეიტყო ე. წ. ჩაწყობილი თამაშების შესახებ ან, ვთქვათ, ის რომ ქულების ჩამოკლების სისტემა სფფ-მ შემოიღო, რათა ხელოვნურად არეგულიროს გუნდების სატურნირო მდგომარეობა (ამას, ვინ იცის მერამდენედ ვამბობთ)?

თურმე, ბატონი ლაშა ვერ წარმოიდგენდა „თუ კვინიკაძე და ანდრიაძე სხვადასხვა პოლუსზე დადგებოდნენ. არადა, დღეს ეს აშკარად გამოჩნდა. ისინი ცხად და დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დღეს სფფ-ს ვერც ჩივაძე მართავს, ვერც ანდრიაძე და ვერც კვინიკაძე, ყველანი საკუთარი თავისთვის მოქმედებენ. ქართულ ფეხბურთში გამეფებული კორუფცია და ქაოსიც სწორედ ამითაა განპირობებული. სფფ-ში ყველა თავის ოთახშია ჩაკეტილი. ერთმანეთთან არიან როგორც ძაღლი და კატა და ყველა თავისთვის აკეთებს ფულს".

დაგვეთანხმებით, მძიმე ბრალდებაა. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სფფ-ს ყრილობის გადადება დიდი შეცდომა იყო. ჩვენი საფეხბურთო მეურნეობა ღრმა ჭაობშია ჩაფლული და სწრაფად შველას საჭიროებს.

რუსთავში გამართული პრესკონფერენციის შემდეგ, იქ გამოთქმული ბრალდებების კომენტარი ვთხოვეთ სფფ-ს პასუხისმგებელ მუშაკებს. ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ თავი აარიდა საუბარს, გაცილებით შედეგიანი გამოდგა გენერალურ მდივნის დავით კვინიკაძესთან სტუმრობა. მან გაკვირვება და სინანული გამოთქვა ლაშა მინდელის პოზიციის გამო — ვერ გამიგია, რაში გვემდურის: რამდენჯერაც მოსულა და ამა თუ იმ საკითხში დახმარება უთხოვია, ყოველთვის გულისხმიერად შევხვედრივართ და ის, რომ ამდენი ხნის თანამშრომლობის შემდეგ მას უეცრად რაღაც-რაღაცეებზე, თურმე, თვალი აეხილა და „მრუდე სარკეში" ხედავს ჩვენს მუშაობას, ეს მისი პრობლემებიაო.

გავესაუბრეთ სფფ-ს მსაჯთა კორპუსსაც. მათი პოზიცია ასეთია: ჩვენ არავინ ზემოდან არ გვავალებს „გორდას„ ჩაძირვას და თუ ვინმე კორუფციაში გვდებს ბრალს, კეთილი ინებოს და კონკურეტული ფაქტებით ილაპარაკოსო.

ჯემალ ჭიკაშვილი

კრივი

ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის

# არადა, ყველაფერი გორის სკოლიდან დაიწყო

ბოლო წლებში, როცა გორელ მოკრივეებს ახსენებენ, მათ ახალ წარმატებას აღნიშნავენ, ბევრს ჰგონია, რომ ყველა „ხელთათმანის ოსტატი“ ვარიანელია და გიორგი კანდელაკის კლუბიდანაა. ცხადია, ჩვენი პირველი მსოფლიო ჩემპიონის ავტორიტეტი განუზომელია და უნებლიეთ ყველა მის სახელს უკავშირებს გორელთა გამოჩენას საერთაშორისო არენაზე. სტუმრებიც მეტწილად ვარიანს ჩააკითხებენ ხოლმე, არადა, გზად, გორის ცენტრში, არის კრივის სპორტსკოლა, რომელიც ათეულ წლებს ითვლის და თვით გიორგი კანდელაკიც ამ სკოლაში აღზრდილია. გორის სკოლის ტრადიციები გრძელდება. ამ დღეებში მისმა ერთ-ერთმა აღსაზრდელმა რომან ჯავახიშვილმა (81 კგ) იურმალაში გამართულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ჩვენი ნაკრების თერთმეტი წევრიდან სამნი გორის სკოლის წარმომადგენლები იყვნენ — დავით ბერიძე (48), გიორგი კომახიძე — (მძიმე) და თვით რომან ჯავახიშვილი (მწვრთნელები ავთანდილ შოშიაშვილი და ბადრი კულუმბეგაშვილი). ალბათ მიაქციეთ ყურადღება, ეს ბიჭები ძალიან პრესტიჟულ წონებში გამოდიან და თუ ხელს შეუწყობენ, ისინი ქართული კრივის საიმედო ცვლად მოგვევლინებიან ახლო მომავალში.

მიხეილ ტუტუნავა



ოსტატი და შეგირდი — რომან ჯავახიშვილი და ავთანდილ შოშიაშვილი.

ამაგი

# სახელიანი კაცი

სოფელში თუ რაიონში, ერთი სახელიანი კაცი რომ გამოჩნდება, მერე ბევრი ცდილობს მის კვალს გაჰყვეს. კასპის რაიონის სოფელ ლამისყანაში 50-იანი წლების მეორე ნახევარში ასეთ სამაგალითო ახალგაზრდად წარმოჩინდა გივი ბალხამიშვილი (ჭანჭარა), რომელიც, თავისი მაღალი ოსტატობით, ქართულ ჭიდაობას, კიდევ მეტ მომხიბლაობას მატებდა. დიდხანს იყო რაიონის უცვლელი ჩემპიონი და ნაკრების წევრი, მწვრთნელიც ნამდვილი დიდოსტატი ჰყავდა — გიორგი ნავროზაშვილი. მერე და მერე თვით გივის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა სოფლის რჩეულთა გუნდი. ნოდარ ნავროზაშვილი, ლუარსაბ ვეფხვაძე, აბესალომ ბალხამიშვილი, შალვა იმერლიშვილი, ტარიელ ხადური, გიორგი ბეინაშვილი, ნოშრევან ბეინაშვილი, თამაზ თვაური, ომარ ქართველიშვილი — გივი ბალხამიშვილის მიმდევრები გახდნენ. მათ ტრადიციებზე აღიზარდა ახალი თაობა: მირიან ზოზრაშვილი, ნუკრი ნავროზაშვილი, გურამ ცუცუნაშვილი, გიორგი ტატუნაშვილი, ვეფხვია ოსიშვილი, ივანე ღვინაძე, გიორგი რამაზიშვილი, ჯამბულ ბეგიაშვილი, ლევან ოსიშვილი, ჯანო ოსიშვილი.



გაკვალულ გზას მიჰყვნენ ლამისყანელი მოჭიდავეები, მათ შორის, ნოდარის ორი ვაჟი. რად ღირს მიხეილ ფალაშვილის წარმატებები. იგი ევროპის ჩემპიონ და მსოფლიო ვიცე-ჩემპიონია. მისი კვალს გაჰყვნენ გოჩა გოგიაშვილი, ბონდო ოდიშვილი, ლევან ბენაშვილი, კოლია რუსიტაშვილი, გიორგი გიგაური, ირაკლი ჭიხინაშვილი, გუჯა მჭედლიშვილი, დევი ოსიშვილი და სხვები.

თავის დროზე არ ჩატარებულა რაიონის პირველობა ნებისმიერ ჭიდაობაში, აგრეთვე ფეხბურთში, კალათბურთსა თუ მძლეოსნობაში, რომ გივი ბალხამიშვილს მონაწილეობა არ მიეღო, თანაც წარმატებით.

გასახსენებელი ბევრია... 1961 წელი. ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. კასპის რაიონმა მაშინ პირველად მოიპოვა უძლიერესის სახელი. გუნდში რვა წევრი იყო, მათგან ოთხი — ლამისყანელი: გივი ბალხამიშვილი, ლუარსაბ ვეფხვაძე, აბესალომ ბალხამიშვილი და გიორგი ნავროზაშვილი. იმავე წელს კი პირველი ადგილი მოიპოვეს სამბოშიც. რაიონის გუნდში კვლავ ოთხი ლამისყანელი იყო: გივი ბალხამიშვილი, ტარიელ ხადური, აბესალომ ბალხამიშვილი და გიორგი ნავროზაშვილი. მაშინ უფროსების მხარდამხარ ჭაბუკებმაც იყოჩაღეს და პირველი ადგილი დაიკავეს. აქ კი რვიდან ხუთი ლამისყანელი გამოდიოდა უიონის ნაკრებში: გიორგი და ნოშრევან ბენაშვილები, ვახტანგ კობლიშვილი, ტარიელ ხადური და შალვა იმერლიშვილი.

გივი ბალხამიშვილი ერთნაირი სიმძლავრით მონაწილეობდა, როგორც ქართულ ჭიდაობაში, ისე თავისუფალსა და სამბოში, ორივე სახეობაში არის სპორტის ოსტატი და საქართველოს სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში. ამ ეროვნულ სახეობაში გივი ბალხამიშვილი 1957-1973 წლებში უცვლელად მონაწილეობდა საქართველოს პირველობებში. „კოლმეურნეს“ ცხრაგზის და საქართველოს ხუთგზის ჩემპიონია. საპრიზო ადგილის მიღმა ერთხელაც არ დარჩენილა.

იმავე წლებში საამაყო წარმატებები ჰქონდა სამბოში — „კოლმეურნეს“ ათგზის და საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი გახდა.

1969 წელს, ქ. ტირასპოლში, სამბოში სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველ სპარტაკიადაში გივი ბალხამიშვილი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, აჟღერდა საქართველოს ჰიმნი. მომდევნო წელს კი კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა ამავე შეჯიბრებაში. 8 წლით ადრე, 1962 წელს კი სსრ კავშირის მესამე პრიზიორი გახდა.

60 წლის ვეტერანი სპორტსმენი, დიდი ხანია თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს მოზარდ თაობას.

სოფლის გამოჩენილი პიროვნება ლამისყანელთა კეთილდღეობაზეც ზრუნავს — მისი თაოსნობით ახლა სოფლის საავტომობილო გზის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

სააგენტო „გუმათი“

წიგნის თარო

# გამოიცა პროფესორ ჯემალ ძაგანიას მონოგრაფია



ბოლო წლებში სპორტული ლიტერატურის ახალ გამოცემებს იშვიათად ვხვდებით, მით უფრო ისეთს, ესოდენ საჭირო რომ არის სპეციალური უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ამიტომაცაა გასახარი პროფესორ ჯემალ ძაგანიას მონოგრაფიის — „სპორტულ თამაშებში მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადების სპორტულ-პედაგოგიური საფუძვლები“ — დასტამბვა. ეს ნაშრომი ჯერ კიდევ 1997 წლის 12 დეკემბერს დაამტკიცა, როგორც მასწავლებლების, მწვრთნელების, ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელო ამავე აკადემიის სამეცნიერო საბჭომ. თვით ის ფაქტი, რომ წიგნის რეცენზენტები არიან პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, მ. მირცხულავა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გ. დვალი, აშკარად მოგვანიშნებს ნაშრომის მრავალმხრივ ღირებულებაზე.

ავტორი მადლობას უხდის ყველას, ვინც ხელი შეუწყო წიგნის გამოცემაში.

სააგენტო „გუმათი“.

პიროვნება შტრიხებში



# გულთბილი და მომხიბლავი

მუდამ ღიმილიანი, უაღრესად თბილი და, იქნებ ამიტომაც, ყველასათვის შინაური, ახლობელი და საყვარელი — ასეთია ნინა არნაუტავა, ულამაზესი, მუდამ მომხიბლავი ქალბატონი. რომ დაფიქრდე, სიტყვებით ნამდვილად ვერ გადმოცემ რასაც მის მიმართ გრძნობ. ეგაა, მუდამ გახარებს მასთან შეხვედრა, მისალმება, საქმიან ურთიერთობაში ხომ შენ პრობლემას უმალვე გაითავისებს, უანგაროდ დაგეხმარება, ხშირად თავად მიდგებ-მოდგება, თუ დარწმუნებულია, რომ ამ საქმეს უშენოდაც, უმოკლესი გზით მოგიგვარებს. არადა, ათეული წლებია, სწორედ ასეთი ურთიერთობა აკავშირებს ჩვენი სპორტული სამყაროს უამრავ წარმომადგენლებს ამ ქალბატონთან. ეს ურთიერთობა, უფრო სწორედ, შუამავლობა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თუ ვიზების გამცემ უწყებებთან, ადვილი არასოდეს ყოფილა. ყველაფრის დროული მოგვარება გაიხადა წეს-ჩვეულებად. სპორტის სახელმწიფო კომიტეტში თუ ახლანდელ დეპარტამენტში, როგორც ამ დაწესებულების უცხოეთის განყოფილების თანამშრომელს, მუდამ უამრავი საზრუნავი ჰქონდა და აქვს. ამას ჩვენ ვერ ვგრძნობდით და ვერ ვგრძნობთ, რადგან ამ საქმეს ჰყავს თავისი პროფესიონალი შემსრულებელი, თავდადებული მუშაკი-ნინა არნაუტოვა.

ამ დღეებში ქალბატონ ნინას დაბადებიდან საიუბილეო თარიღი შეუსრულდა. საქართველოს სპორტული სამყარო კეთილი სურვილებით ულოცავს ამ თარიღს ყველასთვის ძვირფას ადამიანს. ამ მილოცვას ჩვენც, ლელოელებიც ვუერთდებით.

შენ რას იტყვი კოლეგა?

# არჩილ ბეჟანიშვილი: სენსაციურობას სიმართლისაგან ნუ გავმიჯნავთ...

**არჩილ ბეჟანიშვილი — დაიბადა 1955 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი 1980 წელს. მუშაობდა „ზარია ვასტოკაში“, „სახალხო განათლებაში“, „ერში“. 1995 წლიდან გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტია საქართველოში. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.**

● *არჩილ, რატომ არ ეცვლება სახელი „სოვეტსკი სპორტს“, რით ხსნიან ამას?*

— „სოვეტსკი სპორტი“, არა მხოლოდ სსრ კავშირში, მსოფლიოშიც უდიდესი და ყველაზე მრავალტირაჟიანი, ავტორიტეტული გაზეთი იყო ყოველდღიურ სპორტულ გამოცემებს შორის. ამ სახელწოდებით იცნობდნენ მთელს მსოფლიოში და ასევე იყო შესული ყველა ცნობარებში, ამიტომ სახელს, ლოგოტიპის შეცვლა, არა მხოლოდ პრესტიჟის დაქვეითებასთან, დიდ მატერიალურ ზარალთან იქნებოდა დაკავშირებული. ვფიქრობ, იგივე მოსაზრებით შეუნარჩუნეს სახელები „კომსომოლსკაია პრავდას“, „ტრუდის“, „იზვესტიას“ და ა. შ.

● *ჩვენთან კი ზოგიერთმა გამოცემამ უკვე ორ-ორჯერ მოასწრეს სახელის შეცვლა...*

— შესაძლებელია ეს ყველა შემთხვევაში არ იყოს გამართლებული, თუმცა, გემოვნებაზე არ დავობენ.

● *„სოვეტსკი სპორტმა“ რა „გემოვნება“ შეინარჩუნა?*

— მისი „გემოვნება“ — სპორტისადმი უანგარო სამსახური — კვლავ უცვლელი დარჩა.

● *რას გულისხმობთ უანგარო სამსახურში?*

— დღეს ყველას უჭირს, მაგრამ ეს გაზეთი პრინციპებს არ ღალატობს, შემოსავლისათვის არ გამოაქვეყნებს, ვთქვათ, სიგარეტის რეკლამას. ამავე დროს, თავად რეგულარულად მოუწოდებს ცხოვრების ჯანსაღი წესისაკენ, რაც ბევრმა გამოცემამ „დაივიწყა“.

● *სპორტისადმი „სამსახური“ გაზეთმა რიგ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებშიც შეინარჩუნა, მათ შორის უკრაინაში, ბელორუსიაში, საქართველოში... ამას რით ახსნით?*

— პოსტსაბჭოურ სივრცეში გაზეთი სწორედ თქვენს მიერ ხსენებულ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს მიიჩნევს წამყვან სპორტულ ქვეყნებად, ხოლო თუ რა ხდება ამ ქვეყნებში საინტერესოა, როგორც რუსეთის, ისე მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების მკითხველებისათვისაც.

● *მართალი ბრძანდებით, „სოვეტსკი სპორტის“ მეშვეობით უცხოეთი საქართველოს სპორტსაც ეცნობა, ამ გაზეთის გავრცელების არეალი ხომ მთელი მსოფლიოა, ფაქტს ვერსად გავექცევით. გვინდა გკითხოთ: მუშაობის რა სისტემაა გაზეთსა და საქართველოში მის საკუთარ კორესპონდენტ შორის?*

— ძირითადად, ალბათ გულისხმობთ შეკვეთით ვაწერ თუ არჩევანში თაისუფალი ვარ.

● *დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობდი...*

— გეტყვით, რომ აბსოლუტურად თავისუფალი ვარ თემატიკის შერჩევაში.

● *მაინც რას ანიჭებთ უპირატესობას?*

— სპორტის ისეთ [illegible]ალ“ სახეობებს, როგორიცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ჭიდაობა, ჭადრაკი. რედაქციაც და მკითხველიც დიდი ინტერესით მოელიან აგრეთვე მასალებს ჩვენს სახელოვან სპორტსმენებზე, ქართულ სპორტში მიმდინარე პროცესებზე, ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაზე და ა. შ.

● *გაზეთში მასალების მიწოდების პერიოდულობით და მოცულობით შეზღუდული ხართ?*

— პერიოდულობით არა, მოცულობის ნორმების დაცვა კი მიწევს. წავიდა ის დრო, როცა ამა თუ იმ თემას, მთელი გვერდიც კი ეთმობოდა.

● *ნორმების დაცვა ახსენეთ. პრესის ენაზე, რომ ვთქვათ, ეს რამდენი სტრიქონია?*

— 220-250 სტრიქონი, ინფორმაცია კი 100 სტრიქონს არ უნდა აღემატებოდეს.

● *როგორ ფიქრობთ, სრულად წარმოჩნდება თქვენს გაზეთში ქართული სპორტი და მისი პრობლემები?*

— ცხადია, არა.

● *რას გულისხმობთ?*

— ზოგჯერ ის, რაც ჩვენ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, შეიძლება ნაკლებად საინტერესო იყოს შორეული ქვეყნების მკითხველებისათვის. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს.

● *რამდენადაც თვალს ვადევნებთ, ზოგიერთი საკუთარი კორესპონდენტი, ვთქვათ, უკრაინიდან, მხოლოდ ფეხბურთზე წერს. ეს რა, მისი ნებაა?*



— არა, არავინ გვავალებს მხოლოდ ერთი თემით შემოვიფარგლოთ.

● *კრიტიკული წერილებისაგან თავს იკავებთ?*

— რა საჭიროა, საკუთარი რობლემები სხვას მოახვიო თავს.

● *როგორ ფიქრობთ, ბევრი დაკარგა ქართულმა სპორტმა ამ წლებში?*

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს არ მომხდარა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გარეშე. თუმცა, არ შეიძლება არ დაინახო, რომ პერსპექტივა, საკმაოდ ნათელია, იმედია, მალე ფეხზე მყარად დავდგებით, რაშიც უცხოელი კოლეგებიც მეთანხმებიან.

● *კოლეგიურ ურთიერთობაში, შინ, დასაყრდენად ვის მიიჩნევთ?*

— „ლელოს“ და „სარბიელს“. ამ გაზეთების თანამშრომლებთან არა მხოლოდ პროფესიული, მეგობრული ურთიერთობაც მაკავშირებს. კარგია, რომ საქართველოში ამდენი ახალი სპორტული გამოცემაა, მაგრამ მინდა მოკრძალებული რჩევა მივცე ახალგამოცემების ახალგაზრდა კოლეგებს — საგაზეთო ბაზრის დასაპყრობათ დღეს ასე აუცილებელი „სენსაციურობა“, სიმართლისაგან და გარკვეული ეთიკის ნორმებისაგან გამიჯნული არ უნდა იყოს.

● *კოლეგები იშვიათად წერენ ერთმანეთზე, მოელოდით, რომ ასეთ ინტერვიუს შემოგთავაზებდით?*

— ჩემთვის ეს აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. ისე, ადრე, თქვენთან ამ რუბრიკით წამიკითხავს საუბრები უცხოელ ჟურნალისტებთან. მართლაც, რატომ არ უნდა ვიცოდეთ ერთმანეთის აზრი „შინაურებმა“ და რატომ არ უნდა მივცეთ ამას საჯაროობა, საერთო ჯამში ხომ საქმეს — ქართული სპორტის კეთილდღეობას ვემსახურებით...

ესაუბრა
თენგიზ ბაჩეჩილაძე

# საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# I ჯგუფი V ტური

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

**გორდა (რუსთავი) — არსენალი (თბილისი) 0-1**

*გორდა:* მ. ქორიძე, ი. ხუჯაძე, ბექაური, მ.სახვაძე, ბურნაძე, ვ. კილასონია, ტარტარაშვილი (ლაბაძე, 72), ზირაქაძე (ჩოხელი, 72), მჭედლიძე (ლ. ალადაშვილი, 81), ჩუხუა, კ. ალადაშვილი.
*არსენალი:* ჩლაიძე, ყუფარაძე, ცერცვაძე, შ. ლაცაბიძე, გემეზაშვილი, მ. მაისურაძე, ყოლბაია, ლომიძე, კორლალიძე (ქიქავა, 82), კაკაშვილი (ხოსროშვილი, 82), ტარიელაშვილი (სულაძე, 89).
*გოლი:* კაკაშვილი (48).
*გააფრთხილეს:* ბურნაძე, გემეზაშვილი, ცერცვაძე.
*მსაჯი:* სოსო კახიანი (თბილისი)
*სიონი:* დალაქიშვილი, სვანიძე, შაკიაშვილი, თ. სამხარაძე, ძნელაძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (პოზოიანი, 58), გოგოლაძე, გაგუა (ქობელაშვილი, 62), ჯაგიდისი, მოსეშვილი.
*მერანი-91:* ლოსმაია, დევიძე, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, კ. კვეტენაძე (ბაჯელიძე, 78), გელა ქორიძე (ჯიშკარიანი, 87), ცქიფურიშვილი, დავითაშვილი !ხარებავა, 78), ხუციშვილი, მესხი.
*გოლები:* 0-1 დავითაშვილი (64), 0-2 ქორიძე (67), 0-3 დავითაშვილი (82), 1-3 ჯაგიდისი !90), 1-4, ხუციშვილი (90).
*გააფრთხილეს:* სვანიძე, ბაჯელიძე.
*მსაჯი:* გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

**კოლხეთი-1913 (ფოთი) — სამგურალი (წყალტუბო) 4-2**

*კოლხეთი-1913:* ქვაჩახია (ჩემია, 70), ქუნთელია, ტორჩინავა, ახვლედიანი (კრასოვსკი, 75), გიორგობიანი, ღაღანიძე, პაპავა, სუხიაშვილი, ე. გვასალია (შავგულიძე, 73), წივწივაძე, კალანდაძე.
*სამგურალი:* სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, მ. ჭინჭარაძე, გ. ჯანელიძე, (ლ. ქობულაძე, 46), მახვილაძე, ი. ხაჭაპურიძე, ჯავახაძე (კ. ჯანაშია), ფილიპაშვილი, თევდორაძე, ლონლაძე (დ. ჭელიძე, 32)
*გოლები:* 1-0, 2-0, 3-0 სუხიაშვილი (6 პენ. 22,30 პენ.), 3-1 თევდორაძე (53), 4-1 წივწივაძე (55), 4-2 ჭინჭარაძე (81).
*გააფრთხილეს:* ღაღანიძე, ახვლედიანი.
*მსაჯი:* ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

**ოდიში (ზუგდიდი) — დილა (გორი) 2-1**

*ოდიში:* ნაყოფია, ღურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, კ. კვეკვესკირი, ბარქაია, კუტალია, მარკოზია (იოსავა, 63), ტაბაღუა (თოლორაია, 72), ენდელაძე.
*დილა:* მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე (დ. მაისურაძე, 75), გ. ჩიტაია (ახალკაცი, 80), ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი, მოსულიშვილი (ბ. ჩიტაია, 78), კიადარაშვილი, თაყაძე, შატაკიშვილი.
*გოლები:* 0-1 მოსულიშვილი (58), 1-1 კვეკვესკირი (69), 2-1 ენდელაძე — (77, პენ.)
*გააფრთხილეს:* ლურსმანაშვილი, ტყემალაძე, კვეკვესკირი.
*მსაჯი:* მერაბ მალალურაძე (თბილისი).

**დინამო (ბათუმი) — გურია (ლანჩხუთი) 4-0**

*დინამო:* ტოგონიძე, ღლონტი, მ. მახარაძე, ვერემჩუკი (მუავანაძე, 77), ჭიჭეიშვილი, მინდაძე, სიჭინავა, თორლაშვილი (რომანაძე, 46), კანტიძე, გადელია, რუსია (აფხაზავა, 46).
*გურია:* გოგუა (ვარდანიძე, 46), იობიძე, კაკაჩია (ლორია, 46), ი. ბუხრიკიძე (ჩიქვილაძე, 46), ფაცურია, თიბილაშვილი, ზ. კვეკვესკირი, ინიაშვილი, მ. გიორგაძე, მელაძე, დ. მახარაძე.
*მსაჯი:* პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი).

**იბერია (სამტრედია) — ლოკომოტივი (თბილისი) 2-3**

*იბერია:* ჩაჩუა (ლაბაძე, 46), სადილიანი, გ. ლურსმანაშვილი (ქობესაშვილი, 46), გეგეშიძე, ი. გიგიაძე, ამაშუკელი (ბაკურაძე, 81), ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე, გ. დარასელია, ბრეგვაძე.
*ლოკომოტივი:* დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, კაციაშვილი, თარხნიშვილი, ხორგუაშვილი (ბაქრაძე, 79), მარლიშვილი, კ. მელქაძე, დაუშვილი, გოდერძიშვილი (მ. მინდიაშვილი, 60), ნ. მინდიაშვილი (ქვარცხავა, 80).
*გოლები:* 0-1 გოდერძიშვილი (2), 1-1 ვ. გიგიაძე (21), 1-2 გოდერძიშვილი (40), 1-3 ბალაშვილი (45), 2-3 ჩომახიძე (54).
*გააფრთხილეს:* გეგეშიძე, სადილიანი, ბალაშვილი.
*მსაჯი:* ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

## ვიტ-ჯორჯია (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 1-2

***ვიტ-ჯორჯია:* ჭურაძე, პეტრიაშვილი (ა. ბოკერია, 63), ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, თ. ბოკერია (ზ. გვაზავა, 63), აბაზაძე, კაპანაძე (ენუქიძე, 71), მაისურაძე, ნოზაძე, გოჩაშვილი, გრ. გვაზავა.**
***ტორპედო:* ასლანაძე, ჯინჭარაძე, ჩხაბერიძე, ვაშაკიძე, ჩხაიძე (მაღლაკელიძე, 68), შეყრილაძე, ყიფიანი (ქებაძე, 88), თურმანიძე, დ. ჯანაშია, იონანიძე, ვაჩიბერაძე (მეტრეველი, 84).**
***გოლები:* ვაშაკიძე (52), იონანიძე (60), ჭანკოტაძე (69).**
***გააძევეს:* ჩხაბერიძე.**
***მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).**

მცხეთის „არმაზზე“ მორიგი დაძაბული თამაში ჩატარდა, უფრო გამოცდილმა, ევროპამოვლილმა ქუთათურებმა ახალგაზრდულ „ვიტ-ჯორჯიასთან“ ძნელი, თუმცა ლოგიკური გამარჯვება მოიპოვეს და ახლა დედაქალაქური „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ დარად, წაუგებლად ასპარეზობენ მეათე ეროვნულში.

პირველ ტაიმში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა ბრძოლა. ფეხბურთელები თითქოს სიხისტესა და აგრესიულობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მასპინძელთაგან პეტრიაშვილი ცდილობდა ინიციატივის გამოჩენას, მოედნის სიღრმიდან უნდოდა შეტევის წარმართვა, ერთი-ორჯერ ინდივიდუალური თამაშითაც გაიბრწყინა, მაგრამ ლიდერობას მაინც ვერ შესწვდა. რიონისპირელთაგან დ. ჯანაშიამ სცადა თავისი სისწრაფით ფონს გასვლა, თუმცა რაიმე განსაკუთრებული მეორე 45 წუთამდე ვერ შექმნა. მერე სწორედ მის მიერ შესრულებულ საჯარიმოს „გამოეხმაურა“ შედეგიანი თავურით ვაშაკიძე (საჯარიმო დარტყმა ჯანაშიას წაქცევისათვის დაინიშნა), „ტორპედოს“ მეორე გოლი კი ჯანაშია — ვაჩიბერაძე — იონანიძის სწრაფი კომბინაციის შედეგი გახლდათ. „ვიტ-ჯორჯიას“ თამაში გარდატეხის შეტანა უჭირდა, მაგრამ როცა გრ. გვაზავას დარტყმული ასლანიძეს ნაცვლად ჩხაბერიძემ მოიგერია ხელებით (რისთვისაც ქუთათურთა მცველს მინდვრის დატოვება მოუხდა) და ზოოვეტელებს რიცხობრივი უპირატესობა შეექმნათ „ტორპედოს“ გამარჯვებას თითქოს წყალი უნდა შედგომოდა, მაგრამ გოჩაშვილის ძლიერად და დაბალ კუთხეში შესრულებული პენალტისას ასლანიძემ იყოჩაღა. თუმცა ცოტა ხანში ასლანიძემ ასალები ბურთი გაუშვა — ჭანკოტაძემ დაახლოებით 30-32 მეტრიდან საჯარიმოთი გაქვითა ერთი ბურთი. ამის შემდეგ ვიტ-ჯორჯიამ მეტი მონდომებით შეუტია, ორჯერ კარგი მომენტი გააცუდა არჩილ ბოკერიამ, სტუმართაგან კი კონტრშეტევებზე ჯანაშიასა და იონანიძეს შეეძლოთ ჭურაძის მესამედ გაწბილება.

**დათო თავართქილაძე**

## თსუ (თბილისი) — დინამო (თბილისი) 1-3

***თსუ:* ბათიაშვილი, ძლურიძე, ზამთარაძე, კობიაშვილი, ნინუა, ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე (სვანიძე, 82), როსტიაშვილი.**
***დინამო:* გვარამაძე, ი. მახარაძე, ჯელაძე, დიდავა, არჩვაძე, მუჯირი (ლ. მელქაძე 46, სახვაძე, 80), მიქაძე, ალექსიძე, აშვეთია, ცქიტიშვილი, ხომერიკი.**
***გოლები:* წიტაიშვილი (20), ხომერიკი (71), ცქიტიშვილი (76, პ.) აშვეთია (77).**
***გააფრთხილეს:* ცომაია, ალექსიძე, დიდავა, ცქიტიშვილი, ნინუა.**
***მსაჯი:* თამაზ ლაცაბიძე (სურამი).**

ჩვენმა უცვლელმა ჩემპიონმა მეათე ეროვნულში დაჩემებულ ტრადიციას არც მცხეთაში უღალატა – გოლი ჯერ საკუთარ კარში მიიღო, მერე კი სამით უპასუხა მეტოქეს. მაგრამ თსუ სხვებთან განსხვავებით ერთობ გაუძალიანდა „დინამოს“ და მხოლოდ მეორე ტაიმის შუაწელში „გადატყდა“.

ხურცილავას ბიჭებს სადა და გააზრებული თამაში არ გამოსდიოდათ, ერთფეროვნად უტევდნენ მარცხენა ფლანგით, სადაც ალექსიძეს მაღრაძე მეურვეობდა, რომელსაც ხან ზამთარაძე აზღვევდა, ხან კი ნინუა. თამაში არ წაუვიდა მუჯირს, რის გამოც აქტიური ცქიტიშვილი მოედნის ცენტრში ეულად გამოიყურებოდა. სტუდენტებმა მარტივ და ამავე დროს ეფექტურ ტაქტიკას მიმართეს – როგორც კი მოიხელთებდნენ ბურთს მოედნის ცენტრში, მყისვე ექსდინამოელ კლიმენტი წიტაიშვილისკენ გზავნიდნენ. ერთ-ერთი ასეთი „ფანდის“ დროს წიტაიშვილმა ისარგებლა ჯელაძის შეცდომით და გვარამაძესთან პირისპირ გასულმა აუღელვებლად, ზუსტად გადაუგდო ბურთი ვიზავის. რამდენიმე წუთში მსგავს სიტუაციაში (წიტაიშვილმა მეორედ გადაუგდო თავზე ბურთი გვარამაძეს) ფორტუნამ დინამოელებს გაუღიმათ – ჯელაძემ ბოლო მომენტში იყოჩაღა და ცარიელი კარისკენ მიმავალი ბურთი კუთხურზე მოიგერია. მეორე ტაიმში ხურცილავამ ცქიტიშვილს მელქაძე შეუწყვილა ნახევარდაცვის ცენტრში და „დინამოც“ უფრო მობილურად, აგრესიულად ათამაშდა. თსუ-მ ნახევარ ტაიმზე მეტი გაუძლო სტუმართა გახელებას, მერე კი ჩვენმა უცვლელმა ჩემპიონმა, პირველ რიგში ფიზიკურად უკეთესი მომზადების წყალობით, თავისი გაიტანა. ექსდინამოელ წიტაიშვილს კი კვლავ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ გვარამაძეს მხსნელად ამჯერად კარის ზედა კუთხე მოევლინა.

**დათო თავართქილაძე**

## იბერია (სამტრედია) — ლოკომოტივი (თბილისი) 2-3

მეტოქეებმა თავიდანვე უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღეს. სამტრედიელთა კარის მიმართულებით დაუშვილმა მახვილგონივრულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და გოდერძიშვილმა შესაშურად ითამაშა დასწრებაზე 0-1. მალე გოდერძიშვილს კიდევ ერთხელ შეეძლო მასპინძელთა კარის აღება, მაგრამ მცველმა სადილიანმა თავგანწირული ვარდნით კუთხურზე მოიგერია ბურთი. მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდნენ სამტრედიელები. პირველ რიგში, ეს ვასო გიგიაძეს ეხება, რომელმაც გაათანაბრა კიდეც ანგარიში. მოსალოდნელი იყო, რომ „იბერია“ ამის შემდეგაც შეუტევდა სტუმართა კარს, მაგრამ ასე არ მოხდა – ტაიმის ბოლოს რკინიგზელებმა ორი სახიფათო და შედეგიანი კონტრშეტევა განახორციელეს 1-3.

მეორე ნახევარში სამტრედიელებმა რამდენიმე ტაქტიკური გადაადგილება მოახდინეს და მათმა თამაშმა უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო. მალე ჩომახიძემ ლამაზი დარტყმით შეამცირა ანგარიშში სხვაობა 2-3. მეტის გაკეთება მასპინძლებმა ვერ შეძლეს – „ლოკომოტივი“ მედგრად იცავდა თავს.

**მიხეილ ქორქოლიანი,**
**„ლელოს“ კორესპონდენტი იმერეთის მხარეში**

## ნახალოვკაში „ლომა“ ლაღობს



„ლომას“ პრეზიდენტი ამირან შოთაძე (მარჯვნივ) და მთავარი მწვრთნელი მამულო ანთიძე აქტიურად შეუდგნენ კლუბში მუშაობას.

ქართულ საფეხბურთო სამყაროში ვინ არ იცნობს მუდამ ბავშვებთან მოფუსფუსე ღვაწლმოსილ მწვრთნელს მამულო ანთიძეს. ამაგდარი სპეციალისტი დღესაც შემართებით იღვწის ნორჩი ფეხბურთელების დაოსტატებისათვის. რახანია მან ნავსაყუდარი დაიდო ყოფილი „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე და ვინ მოთვლის რამდენ გუნდს უხელმძღვანელა. აკი, მისი „მართვეც“, ბოლო ხანს, წარმატებით ასპარეზობს სხვადასხვა შეჯიბრებაში. მაგალითად, 1982 წელს დაბადებულმა ჭაბუკებმა (მწვრთნელი ვ. ნადირაძე) მოიპოვეს ვ.შუდრას სახელობის თასი, გავიდნენ მერიის თასის გათამაშების ფინალში, ხოლო ერთი წლით უმცროსებმა (მწვრთნელები დ. კაციტაძე, თ. ბიბილაშვილი) ზედიზედ ორჯერ მოიგეს „კავკასიონისა“ და „ვაკეს“ მიერ დაწესებული თასები, ირაკლი ლოლაძის სახელობის ტურნირი.

ცხადია, დღევანდელმა დუხჭირმა ცხოვრებამ კვალი დაამჩნია ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარებასაც. ვინც სპონსორს მონახავს, ხომ კარგი, თუ არა, მარტო ენთუზიაზმისა და ნაცნობ-მეგობრების შემოწირულობათა იმედით, შორს ნამდვილად ვერ წახვალ: ნორჩებს მაისურები, ტრუსები, გამაშები, ბუცები, ბურთები, სხვადასხვა მედიკამენტი, ინვენტარი სჭირდებათ, იქ კიდევ ტურნირებში მონაწილეობა, გადაადგილების ხარჯი. მოკლედ ძალიან გაუჭირდათ და ბედად მხსნელიც მოევლინათ — თბილისის საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი ამირან შოთაძე და ბერძენ სათვისტომოთა ფედერაციის პრეზიდენტი კირიაკ იორდანიდისი, რომლებმაც მამულო ანთიძესა და მასთან მომუშავე მწვრთნელებს ახალი კლუბის ჩამოყალიბება და მისი მეურვეობა შესთავაზეს.

სკ „ლომა“ მართლაც მოკლე ხანში ჩამოყალიბდა. ახალმა მეპატრონეებმა ბავშვებს სპორტული ფორმები, ათეულობით ბურთები, სხვადასხვა ინვენტარი, მედიკამენტები გამოუყვეს. შეკეთდა და კეთილმოეწყო გასახდელები, ნავარაუდევია სპორტული მოედნის მოსწორება-გაფართოება. აღსანიშნავია ისიც, რომ ნორჩ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა სამედიცინო მომსახურება მთლიანად ითავა ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე ბერძნულმა სამედიცინო ცენტრმა.

ამ დღეებში სკ „ლომა“ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში დაიწყებს ახალი კონტინგენტის მიღებას და ეჭვგარეშეა მამულო ანთიძის აღსაზრდელები კიდევ არაერთხელ ისახელებენ თავს სხვადასხვა შეჯიბრებაში.

### განცხადება

**საფეხბურთო კლუბი „ლომა“ აცხადებს 1984-92 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას. გასინჯვები მოეწყობა ცოტნე დადიანის ქ. 134-ში, სდატიონზე, ყოველდღე, დილით 10-დან 12 საათამდე და საღამოს 16-დან 18 საათამდე.**

# თან შეურაცხყოფენ, თან გაჯარიმებენ...

## გამოდის, რომ შეურაცხყოფა ან უნდა მოითმინო ან შეურაცხმყოფელს მადლობა უნდა უთხრა — ასეა ფიფას წესებით?

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უეფადან შეტყობინება მოვიდა — ბათუმის „დინამოს“ კლუბი 10 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდაო. უეფას ვერსიით, თასების მფლობელთა თასზე „დინამოსა“ და ბელგრადის „პარტიზანის“ მატჩის შემდეგ ბათუმელმა გულშემატკივრებმა იუგოსლაველ კოლეგებს სკამები ესროლეს.**

რედაქცია დაინტერესდა აღნიშნული ცნობით და საკუთარი ძალებით ამ ინციდენტის გარშემო შემდეგი ინფორმაცია შეაგროვა. მატჩი რომ დამთავრდა და გაირკვა, ორი მატჩის ჯამში გათამაშების შემდეგ ეტაპზე „პარტიზანი“ გავიდა, ერთ-ერთმა მთვრალმა იუგოსლაველმა გულშემატკივარმა ტრიბუნაზე შარვალი ჩაიხადა და ბათუმელთა ქომაგებს... სასქესო ორგანო უჩვენა. შეიძლება სხვა, უფრო „ცივილიზებულ“ ქვეყანაში, სტუმრის ასეთი გამოხტომისთვის ყურადღება არავის მიექცია, მაგრამ ქართველები არა ვართ? მასპინძლებმა ჯიქურ გაიწიეს უწესო სტუმარზე და რომ იქვე პოლიციას არ დაეცვა, კარგი დღე ნამდვილად არ დაადგებოდა. საბოლოოდ, ჩვენებურმა გულშემატკივრებმა რამდენიმე აგლეჯილი პლასტმასის სავარძლის სროლით იჯერეს გული.

როგორც სფფ-ში გვითხრეს, ამ დღეებში უეფადან შეიძლება კიდევ ერთი დაჯარიმების შეტყობინება მოვიდეს — გახსოვთ, ალბათ, საქართველო-ალბანეთის მატჩზე ვიღაცამ მინდორზე კოკა-კოლას პლასტმასის ბოთლი ისროლა.

### ახალი ცენტრი — დნეპრისპირეთი

დღემდე, უკრაინის ჩემპიონატში კიევის „დინამოს“ ღირსეული მეტოქე არა ჰყოლია. თითქოს ყველაფერი საქართველოს ანალოგიით ხდება...

ახლა კი თითქოს ვითარება იცვლება. შესანიშნავად დაიწყო თამაში კრივოი როგის „კრივბასმა“, რომელმაც ჩინებული გამარჯვებები იზეიმა და 7 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცა. კიევის „დინამოსაც“ აქვს დამარცხება, „კრივბასს“ კი არა. კიევის „დინამო“ ხომ უკრაინის ნაკრებიცაა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებშია დაკავებული, ჩემპიონთა თასზე, უკრაინის პირველობაზე, ქვეყნის თასზე. ისე რომ, „კრივბასმა“, რომელსაც წარსულში ცნობილი ოსტატი ოლეგ ტარანი ავარჯიშებს, შეიძლება მას საგრძნობი პრობლემები შეუქმნას.

# წყალწაღებულნი, მაგრამ ხავს ჩაჭიდებულნი

## ევრო-2000

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველმა შეხვედრებმა რამდენიმე სენსაციური შედეგი მოიტანა: დამარცხდნენ ფავორიტები — ესპანეთი, ინგლისი, რუსეთი, ხორვატია, ბულგარეთი, ნორვეგია, გაცილებით სუსტ გუნდებთან ფრედ ითამაშეს და დასანანი ქულები დაკარგეს დანიელებმა, ფრანგებმა, ავსტრიელებმა, შოტლანდიელებმა. ცხადია, ამ ქვეყნების ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელები მეტნაკლები კრიტიკის ობიექტად იქცნენ. მეტნაკლები იმიტომ, რომ შედარებით ახალდანიშნულ სპეციალისტებს „ზომიერი“ ლანძღვა დაატყდათ თავს, ხოლო „ვეტერანებს“— მტრისას! და, მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელნი მედგრად იგერიებდნენ მასმედიის დაწოლას.**

კვიპროსელებთან მარცხგანცდილ ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე ჯიუტობს და მიუხედავად იმისა, რომ ლამის მთელი ქვეყანა უკიჟინებს გადადექიო, ჯიქურ განაგრძობს საქმიანობას. ერთადერთი, ვინც კლემენტეს იცავს, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანხელ მარია ვილარია. გასაკვირი არაა, ვინაიდან კლემენტე და ვილარი დიდი ხნის მეგობრები არიან, ამის შესახებ ფართოდაა ცნობილი. ამ დღეებში პოპულარული გაზეთი „მარკა“ გამოვიდა ასეთი ანშლაგით: „ვილარ, თუ შენ მართლა კლემენტეს მეგობარი ხარ, დაითხოვე იგი ნაკრებიდან“.

აღსანიშნავია, რომ კლემენტეს მარტო ჟურნალისტები არ აკრიტიკებენ, მის წინააღმდეგ სულ უფრო ხშირად გამოდიან სპეციალისტებიც. ასე, მადრიდის „ატლეტიკოს“ ყოფილმა მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა „ელ პაისის“ კორესპონდენტთან საუბარში თქვა: „ახლანდელი სეპანეთის ნაკრები ყველაზე სუსტია, რომელიც კი მინახავს“. მას არც „ატლეტიკოს“ კლუბის პრეზიდენტი, ანჩხლობით განთქმული ხესუს ხილი ჩამორჩა: „ვერ გამიგია, რა ნამუსით რჩება კიდევ კლემენტე ნაკრებში“.

ახლა კლემენტეს არ იკითხვათ? გუშინწინ ესპანეთის ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს, ვინაიდან ჯერ კიდევ არის რეალური შანსი, რათა ესპანეთის ნაკრები მოხვდეს ევრო-2000-ის ფინალშიო.

ესპანეთიდან უფრო ჩრდილოეთით გადავინაცვლოთ. იცით, რომ ინგლისელები პირველივე მატჩში შვედებთან დამარცხდნენ. ამან კრიტიკის ნიაღვარი დაატეხა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს გლენ ჰოდლს. ინგლისურმა პრესამ ისიც კი აუწყა ყველას, რომ ჰოდლმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას მიმართა განთავისუფლების განცხადებით. მასმედიამ იმთავითვე შემცვლელის ვინაობაზე ჩამოაგდო სჯა-ბაასი. მაგრამ რად გინდა! ყველაფერი ჭორი აღმოჩნდა. ამ ორშაბათს ჰოდლმა საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო და ხაზგასმით თქვა — ნაკრებიდან წასვლას არ ვაპირებ და გუნდში კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადამდე (2002 წელი) ვიქნებიო. როგორც ჰოდლი ამბობს, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის დამთავრებამდე ორი მატჩი რომ ყოფილიყო დარჩენილი, ეს მართლაც საგანგაშო იქნებოდა, მაგრამ ტურნირი ახლა დაიწყო და ჯერ კიდევ არაფერია დაკარგული.

ჰოდლი და, მით უმეტეს, კლემენტე პირველი წელი არაა, რაც ნაკრებს წვრთნიან და, პრესა რომ აკრიტიკებს და მათ გადადგომას ითხოვს, კიდევ ჰო, მაგრამ ერთი თვის წინათ დანიშნული მწვრთნელისგანაც იგივეს რომ ელიან, ესაა გასაკვირი. ამ დღეებში ფრანგულმა მასმედიამ ეროვნული ნაკრების ახალდანიშნულ ხელმძღვანელს ლემიერს „უცოდინარი, დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტი“ უწოდა. ისლანდიის ნაკრებთან მსოფლიოს ჩემპიონებმა, თურმე, იმიტომ ითამაშეს ფრედ 1-1, რომ მწვრთნელმა მინდორზე 6 მცველი, 3 ნახევარმცველი და მხოლოდ ერთი თავდამსხმელი გამოიყვანა. ასეთი შემადგენლობით „ნაკრებმა თვითონ გაითხარა სამარე და ასეთი ტაქტიკა ევრო-2000-ის ფინალური ტურნირის გარეშე დაგვტოვებს“. ამაზე ლემიერმა ფრანგული „ეკიპის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ საფრანგეთის ნაკრები ყოველთვის წნეხის ქვეშ იყო, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონად გახდომის შემდეგ გუნდისადმი მოთხოვნები კიდევ უფრო გაიზარდა, შემდეგად დაწოლამაც იმატა. თუ ასე გაგრძელდა, დადგნენ ჟურნალისტები და თავად უხელმძღვანელონ ნაკრებსო.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ფიფას კომისია ამოწმებს

ფიფას კომისიამ ლაგოსში (ნიგერია) შეამოწმა იქაური ინფრასტრუქტურა. საქმე ის არის, რომ ფიფა სწორედ ამ ქვეყანაში აპირებს 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის.

სწორედ ასეთი შეჯიბრება 1995 წელს ნიგერიაში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მაშინ ფიფამ თავი შეიკავა უშიშროებისა და სანიტარული მოსაზრებების გამო. შეჯიბრება კატარში გადაიტანეს.

### ფრანგების ახალწვეულები

**საფრანგეთის ნაკრების ახალი მწვრთნელი როჟე ლამერი, ისევე, როგორც ყველა „ახალი ცოცხი“, ცდილობს რაიმე თავისებურის შექმნას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ახალი მოთამაშეების მოწვევაში გამოიხატა.**

**ის, რომ ნაკრებში კვლავ აღადგინეს ყოფილი №1 მეკარე ბერნარ ლამა, აიხსნება მსოფლიო ჩემპიონატის გმირ ფაბიენ ბარტეზის, უბრალოდ რომ ვთქვათ, სუსტი თამაშით. ამას ბარტეზის სასიყვარულო რომანით ხსნიან“.**

**მოწვეულია ორი ახალი ნახევარმცველი. ორივე ჩემპიონ „ლანსიდან“ — ტონი ვერელი და ფრედერიკ დეიუ. გარკვეულ იმედებს ამყარებენ „ბორდოს“ ნიჭიერ თავდამსხმელ დილიან ლალანდზე.**

### ვეა: არ ვითამაშებ. სანამ...

მსოფლიოს 1995 წლის №1 ფეხბურთელმა ჟორჟ ვეამ უარი განაცხადა ლიბერიის ნაკრებში თამაშზე, სანამ ამ ქვეყნის მთავრობა სათანადო ყურადღებას არ მიაქცევს სპორტს.

ვეა ადრეც ჩიოდა, რომ ლიბერიაში სპორტი, კერძოდ კი, ფეხბურთი საერთოდ უპატრონოდ არის მიტოვებული. „მე არ შემიძლია მარტოდმარტომ, ორგანიზატორული საკითხებიც გადავწყვიტო, ნაკრების მოთამაშეებსაც დავეხმარო და თანაც ფეხბურთელიც ვიყო. მოთამაშე ვარ და არა მენეჯერი“.

### გროსმა – კლინსმანი. კლინსმანმა – გროსი?

**იცით, რომ გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავი იურგენ კლინსმანი შარშან ინგლისურ „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ გამოდიოდა. უნდა ითქვას, გუნდის მთავარ მწვრთნელს კრისტიან გროსსა და კლინსმანს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ და საქმე იქამდეც კი მივიდა, მწვრთნელმა ფეხბურთელი „ტოტენჰემიდან“ დაითხოვა. მას შემდეგ ორივეს ცუდად წაუვიდა საქმე: იურგენმა წარუმატებლად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე, ხოლო კრისტიანის გუნდი პრემიერლიგის მაჩანჩალა კოლექტივად იქცა.**

**ამ დღეებში უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს გროსის თანამდებობიდან გადადგომის ამბავი. ახლა არ იკითხავთ მის ადგილზე კანდიდატთა ვინაობას? ძირითადად ასახელებენ ინგლისის ნაკრების თავკაცს გლენ ჰოდლს და... იურგენ კლინსმანს, დიახ, სწორედ იმ ფეხბურთელს, რომელიც გროსმა, ამას წინათ, გუნდიდან გაუშვა. თუმცა, ყოველივე ჯერჯერობით ვარაუდების დონეზეა. ისე რომ, იცოდეთ, გარდა ამ ორი კანდიდატისა, „ტოტენჰემის“ თავკაცობას უწინასწარმეტყველებენ გროსის თანაშემწე ჯონ გორმანს, „უიმბლდონის“ მწვრთნელ ჯო კინერს, რადომირ ანტიჩს და დევიდ პლატს.**

### შირერს აპენინზე ელიან



იტალიურმა „პარმამ“ ჯერ კიდევ საფრანგეთ-98-მდე მოინდომა ინგლისის ნაკრებისა და „ნიუკასლის“ 26 წლის ფორვარდის ალან შირერის გადმობირება. მაგრამ ალბიონელებმა საკმაოდ ძვირად — 33,8 მლნ. დოლარად შეაფასეს თავიანთი გოლეადორი. შემდეგ „პარმამ“ არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტასთან სცადა ბედი, მაონამ „ფიორენტინამ“ არ დაანება იგი. პარმელები ამჯერად კვლავ პირველ ვარიანტს დაუბრუნდნენ და ახლა უკვე 22,5 მილიონი დოლარი შეაძლიეს „ნიუკასლს“ ალან შირერში. ამ ფორვარდის ფასი, როგორც ხედავთ, თანდათან ეცემა და სავსებით რეალურია, რომ „ნიუკალსმა“ იგი დათმოს. სერია A-ს მორიგი ტურნირი 13 სექტემბერს იწყება და პარმელებიც ყელანაირად ცდილობენ იქამდე ჩაიგდონ ხელში შირერი. შეგახსენებთ, რომ „პარმაში“ უკვე თამაშობს ერთი ექსნიუკასლელი — კოლუმბიელი ფაუსტინო ასპრილია.

### პროსინეჩკიმ გაბრაზება იცის

**ხორვატიის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა რობერტ პროსინეჩკიმ უარი განაცხადა ამ გუნდში თამაშზე. სანამ მას სათავეში მიროსლავ ბლაჟევიჩი უდგას. ისინი კარგა ხანია ვერ ეგუებიან ერთმანეთს. როგორც ჟურნალისტებმა გაიხსენეს, ბლაჟევიჩი ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს გაუნაწყენდა პროსინეჩკის (მამით ხორვატსა და დედით სერბს), როცა ფეხბურთელმა ზაგრების „დინამოდან“ (დღევანდელი „კროაცია“, რომელსაც მაშინ სწორედ ბლაჟევიჩი წვრთნიდა) ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“ გადავიდა.**

### ძღვენიც ამას ჰქვია?

უკრაინა — რუსეთის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დამთავრებისთანავე გასაგებია, როგორი სასიხარულო განწყობა სუფევდა მასპინძელთა ნაკრების გასახდელში. უკრაინელ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს ხასიათი კიდევ უფრო გაუუმჯობესდათ, როდესაც მათთან შევიდა დონეცკის „შახტიორის“ კლუბის პრეზიდენტი რინატ ახმეტოვი და სიტყვიერ მილოცვას ძღვენიც მიაყოლა — 100 ათასი აშშ დოლარი!

ფიქრები ფეხბურთის მომავალზე

# არსენ ვენგერი (საფრანგეთი)

არსენ ვენგერი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო. თამაშობდა „სტრასბურგში“, როცა გუნდი საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. მწვრთნელმა — ვენგერმა კი, „მონაკო“ საფრანგეთის ჩემპიონი გახადა. შემდეგ იაპონიაში მუშაობდა. კოლოსალური წარმატება ხვდა წილად 1997-98 წლების სეზონში, „არსენალში“ უძლიერესი კოლექტივი რომ შექმნა: ლონდონელები ინგლისის ჩემპიონებიც გახდნენ და თასსაც დაეუფლნენ.

აი ძირითადი მომენტები ვენგერის მოხსენებიდან.

— ევროპული კლუბის მოთამაშეს ვარჯიშზე მუდმივად უნდა უჩიჩინო, რომ ყველა დავალება შეასრულოს. იაპონელები კი ვარჯიშზე დანიშნულ დროზე გაცილებით უფრო ადრე მოდიან, თვით ვარჯიშობენ, უმეთვალყურეოდ. მეცადინეობაზე მწვრთნელის ყველა დავალებას ყველა განუხრელად ასრულებს.

... კარგ ინგლისურ კლუბს ბევრი ოფიციალური თამაში უწევს. თუკი ქვეყნისა და ლიგის თასზე წარმატებით გამოსვლას გავითვალისწინებთ, იგი სეზონში 50-ზე მეტ მატჩს ატარებს. ამიტომაც იქ მეტად საფუძვლიანად ემზადებიან ყოველი სეზონისათვის.

... ქვეყნის ჩემპიონატზე და თასებზეც ინგლისელი ფეხბურთელები ყველა შეხვედრას ისეთი თავდადებით ატარებენ, თითქოს ეს უკანასკნელი მატჩია მათ ცხოვრებაში. მათ ვერც ერთ შემთხვევაში ვერავინ წაუყენებს პრეტენზიას, ძალების დაზოგვის გამო. იაპონიაშიც დაახლოებით ასე თამაშობენ. ამ ქვეყანაში საერთოდ არ აღინიშნება ფრე. თუ ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მატჩი პირველ გოლამდე გრძელდება, ბრძოლა საერთოდ უმძაფრეს ხასიათს ატარებს.

... ინგლისში არის გუნდის დაკომპლექტების პრობლემები: ქვეყანაში საკმაოდ მაღალი ინფლაციაა. საშუალოდ, ერთი ინგლისელი მოთამაშე ფრანგზე ორჯერ უფრო ძვირი ღირს.

ინგლისურ კლუბებში ამ ბოლო ხანებამდე მხოლოდ იქაური მწვრთნელები მუშაობდნენ, ამიტომ ვენგერის მიწვევას ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. თუმცა, ამის შემდეგ ინგლისში არაერთი სხვა მოწვეული სპეციალისტიც აღმოჩნდა.

ვენგერმა აღნიშნა, რომ იაპონელი მოთამაშეები ძალიან თავისებური ხასიათისანი არიან. ვთქვათ, მწვრთნელმა მათ რაიმე ძალზე ძნელი ამოცანა დაუსახა. ფეხბურთელმა, რაც მას ეკისრებოდა, ყველაფერი გააკეთა, შედეგი კი არა სჩანს. ამის შემდეგ მოთამაშეს უკვე აღარ სჯერა ასეთი მწრთვნელის. ამიტომ, როცა იაპონელებთან მუშაობ, ყოველთვის უნდა აღნიშნო, რომ დასახული მიზანი მიღწეულია.

... თითოეულ კარგ იაპონურ კლუბში ათ-ათი უცხოელი მაინც თამაშობს, ეს კი, ცხადია, მწვრთნელის ამოცანებს ართულებს.

ბოლოს ვენგერმა მხარი დაუჭირა იმ მწვრთნელებს, რომლებიც ჟურნალისტებთან სათუთ დამოკიდებულებას მოითხოვდნენ. საჭიროა ჟურნალისტებთან სისტემატური მუშაობა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ კონფლიქტი.

# პასარელა ბიელსა-პეკერმანის დუეტმა შეცვალა

## ვინ ჩაიბარებს ევროპის რჩეულ გუნდს?

***არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიელ ალბერტო პასარელას შემცვლელის ძიება ჯერ კიდევ შარშან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასრულებისთანავე დაიწყო, ვინაიდან 1976 წლის მონდიალში გამარჯვებულმა კატეგორიულად განაცხადა — რა შედეგითაც უნდა დამთავრდეს საფრანგეთის ბატალიები, კონტრაქტს აღარ გავაგრძელებო.***



ხოზე ნესტორ პეკერმანი

მას შემდეგ საფეხბურთო სამყარო მარჩიელობს — ხან კარლოს ბილარდოო, ხან ლუის სესარ მენოტიო, ერთი პერიოდი თვით დიეგო მარადონასაც უწინასწარმეტყველეს ნაკრების თავკაცობა. ბოლოს სპეციალისტთა ნაწილისა და სპორტული ჟურნალისტების უმრავლესობის აზრიც ითქვა — ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ხოსე ნესტორ პეკერმანი, რომლისთვისაც ბოლო წლები ბენეფისად იქცა: მისი თავკაცობით არგენტინის ნაკრებმა ორჯერ (1995, 97 წლები) მოიგო მსოფლიოს ახალგაზრული ჩემპიონატი, გახდა სამხრეთ ამერიკის რჩეული გუნდი (1995), გაიმარჯვა ტულონის საერთაშორისო ტურნირში (1998). ამის მიუხედავად, პეკერმანს ბევრი ოპონენტიც გაუჩნდა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ახალგაზრდებთან მუშაობა ერთია, ხოლო ეროვნულ ნაკრებს უფრო მდიდარი გამოცდილების სპეციალისტი უნდა ხელმძღვანელობდესო. ფედერაციის თაკაცები საგონებელში ჩავარდნენ, რა მოემოქმედათ, არ იცოდნენ. ბოლოს ისევ პეკერმანმა გამოძებნა გამოსავალი: ერთი თვის წინათ, მან ფედერაციას წარუდგინა გეგმა, რომლის მიხედვით თვითონ ქვეყნის ნაკრები გუნდების კოორდინატორი უნდა გამხდარიყო (ასეთივე თანამდებობა უკავია უკრაინაში ვალერი ლობანოვსკის), ხოლო ეროვნულ ნაკრებს უხელმძღვანელებდა სხვა სპეიაცლისტი — მარსელო ბიელსა. ეს ვარიანტი უმრავლესობისთვის მისაღები გამოდგა და აი, უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა ამ დღეებში გაავრცელეს ცნობა, რომ *მარსელო ბიელსა* არგენტინის პირველ გუნდს 1999 წლის 1 იანვრიდან უხელმძღვანელებს.

რატომ ახლავე არა? — იკითხავს გულშემატკივარი. საქმე ისაა, რომ ბიელსა ამჟამად ბარსელონას „ესპანიოლის“ მთავარი მწვრთნელია. კატალონური კლუბის მეპატრონეები სასტიკი წინააღმდეგები იყვნენ, რომ არგენტინელს ახლავე, სეზონის დასაწყისში, დაეტოვებინა გუნდი, არადა, ბიელსა კატეგორიულად მოითხოვდა კონტრაქტის გაუქმებას. მხარეების მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ ბიელსა „ესპანიოლის“ ჩემპიონატის პირველ წრეს ჩაამთავრებინებს, მანამდეს კი კლუბის მეპატრონეები ახალ მწვრთნელს გამოძებნიან.

მაშ ასე, არგენტინის ნაკრებში დამთავრდა პასარელას ეპოქა დაიწყო ბიელსა-პეკერმანის დუეტის ხანა. რას მოუტანს ეს არგენტინულ ფეხბურთს, ძნელი სათქმელია. ნათელი მხოლოდ ის არის, რომ ნაკრებში ძირფესვიანი ცვლილებებია მოსალოდნელი.

**ანალოგიური** სიტუაციაა ევროპის ჩემპიონის — გერმანიის ეროვნულ ნაკრებშიც. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებელმა გამოსვლამ გუნდის მთავარი მწვრთნელის ბერტი ფოგტსის პოზიციები ძლიერ შეარყია. 51 წლის კაცმა კრიტიკის ნიაღვარი გადაიტანა და მცირეოდენი შესვენების შემდეგ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის სამზადისს შეუდგა, მან დაითხოვა კლისმანი, მათეუსი, მიოლერი, როიტერი და სხვა და ახალგაზრდებს უხმო, ახალ შემადგენლობას კი, ცხადია, შესათამაშებლად დრო სჭირდება. ამ ჭეშმარიტებას სულწასული გულშემატკივარი არად დაგვიდევს, პირველ რიგში, მას შედეგი აინტერესებს. მას შემდეგ, რაც ნაკრებმა შინ არადამაჯერებლად გაიმარჯვა მალტასთან 2-1 და ფრეს დასჯერდა რუმინელებთან 1-1, პრესაში ფოგტსის კრიტიკამ ახალი იმპულსი შეიძინა. ამას კი ბერტიმ ველარ გაუძლო და გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს ეგიდიუს ბრაუნს გადადგომის შესახებ განცხადება გაუგზავნა. ამას კავშირის ოფიციალური განცხადებაც მოჰყვა — ნაკრების ახალი მწვრთნელი უახლოეს დღეებში დაინიშნებაო.

ვინ იქნება ფოგტსის შემცვლელი? კულუარებში განიხილავენ ჰიტცფელდის, ჰაიკესის, დაუმისა და სხვათა კანდიდატურებს.

**P.S. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ბოლო ცნობით, გერმანიის ნაკრების ახალ თავკაცად დაინიშნა მიუნხენის „ბაიერნისა“ და ლევერკუზენის „ბაიერის“ ყოფილი მწვრთნელი, 61 წლის ერიხ რიბეკი.**

# თეირანიდან მედლებს ველოდით, მაგრამ...

*(პირველი გვერდიდან)*

ტის საზეიმო გახსნის ცერემონიალი აღმოსავლური სტილით მოეწყო და მისი მთავარი მოქმედი პირები იყვნენ მოლა, მოცეკვავე ქალები, ხალიჩები, ყვავილები. 8 სექტემბერს, შეჯიბრების პირველ დღეს ბრძოლაში ჩაებნენ 54, 63, 76 და 79 კგ წონით კატეგორიის მოჭიდავენი. მათგან ყველაზე მჩატე კატეგორიაში, საქართველოს ნაკრებმა, საასპარეზოდ ვერავინ გამოიყვანა. დანარჩენში ჩვენებმა წარუმატებლად იჭიდავეს. პირველივე შეხვედრაშივე მარცხი განიცადეს დათო ლექავამ (63 კგ) — რუსეთელ მაჰომედ აზიზოვთან 0:10, ალექსანდრე კახნიაშვილმა (76 კგ) — ჩეჩენ ბუვაისა საიტიევთან. კახნიაშვილმა მომდევნო შეხვედრაც წააგო, ამჯერად, მისი მძლეველი, მასპინძელი დორშტკარი იყო. ამით ჩვენმა ფალავანმა ასპარეზობა დაასრულა. სამწუხაროდ, არ გაუმართლა საქართველოს ნაკრების მთავარ იმედს ელდარ კურტანიძეს (97 კგ) — მან ფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა წააგო პოლონელ გარმულევიჩთან, არადა, ევროპის ბოლო ჩემპიონატის ფინალში ჩვენებურმა სწორედ იგი დაამარცხა. თეირანში კურტანიძემ ძირითადი დრო 1:0 მოიგო, მაგრამ შემდეგ თავისსავე ფანდზე წამოეგო და 1:4 დამარცხდა. ახლა კურტანიძეს ბრინჯაოს მედლის მოპოვების მცირე შანსიღა დარჩა.

წარუმატებლად იასპარეზეს ჩვენებმა სხვა წონით კატეგორიებშიც: 58 კგ-ში გორელმა დავით პოლოსიანმა პირველივე წრეში მარცხი იწვნია უკრაინელ ბურლოვიჩთან და, მართალია, შემდეგ სამხრეთაფრიკელ სმიტს სძლია, მხოლოდ ბრინჯაოს მედლისათვის უნდა იბრძოლოს. 69 კგ-ში საქართველოს ღირსებას იცავდა ემზარ ბედინეიშვილი. მან პირველ წრეში მოუგო მონღოლ ბუტსულულინს, შემდეგ უზბეკ კუჰეევს. სამწუხაროდ, ამის შემდეგ უზბეკურმა დელეგაციამ შედეგი გააპროტესტა და ჩვენებურს წაგება ჩაუთვალეს. ბედინეიშვილმა მესამე წრეში პოლონელ დომბროვსკის აჯობა და ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსს ინარჩუნებს. კარგად დაიწყო ასპარეზობა გოჩა ჩიხრაძემ (85 კგ), რომელმაც ჯერ ჩინელი იანგი დაამარცხა, შემდეგ უზბეკი ლავაზოვი. სამწუხაროდ, მესამე წრეში გოჩას გზა გადაუღობა რუსეთელმა ჰაჯიმურატ მაჰომედოვმა. იგივე დაემართა მძიმეწონოსან ალექსანდრე მოდებაძეს — მან სძლია უზბეკ კაისინოვს, მერე კი წააგო მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონთან ირანელ რასულ ხადემისთან. ახლა ჩიხრაძეს და მოდებაძეს მხოლოდ ბრინჯაოს მედლების მოპოვების მცირე შანსიღა რჩებათ.

*ინფორმაცია მიღებულია ფაქსით*

# უეფას პირველი ლალი ინგლისელ ქალბატონს

ლონდონში, სპეციალურ მიღებაზე, ლენარტ იუჰანსონმა უეფას ღირსების ორდენი გადასცა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მთავარ აღმასრულებელ დეპუტატ პატ სმიტს. ეს ქალბატონი პირველი გახლავთ, ვინც ესოდენ დიდი პატივი დაიმსახურა უეფასგან. უეფას საპატიო ორდენი იმ მოხელეებისთვის, მწვრთნელებისთვის და ფეხბურთელებისთვისაა განკუთვნილი, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ფეხბურთში. „პატ სმიტმა არა მარტო ინგლისში, არამედ ინგლისის დანარჩენ ევროპასთან ურთიერთობაში შეასრულა განსაკუთრებული როლი" — ასე მოკლედ და კონკრეტულად ახსნა უეფას ეს გადაწყვეტილება მისმა პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა.

...და რაც მთავარია, უეფას ღირსების ორდენი მხოლოდ „ფარატინა ქაღალდი" არ გახლავთ — პატ სმიტი მინიატურული სამახსოვრო დაფის გარდა კარგა მოზრდილი ლალის თვალითაც დასაჩუქრდა.



*ლენარტ იუჰანსონი უეფას ღირსების ორდენს — სამახსოვრო დაფასა და ლალის თვალს გადასცემს პატ სმიტს.*

## აწმყო, შობილი წარსულისაგან...

# „ავლაბრული, ავჭალური"

### ანუ როგორ „წააგო" მოსე დავარაშვილმა ზაურ კალოევთან





*მოსე დავარაშვილი*

მთელი უბანი „ავჭალურს" კენწლავდა — ლობიოთი თუ სიმინდით გატენილ ამოკერილ გადაჭრილ წინდას. მოსე ყველაზე მეტს კენწლავდა ამ იმპროვიზირებულ ბურთს, რას იფიქრებდა მაშინ, რომ მოგვიანებით ასე გამოადგებოდა, ვინ იცის, ვის მიერ გამოგონილი თამაში. ერთი კი უკვირდა ყმაწვილს — რატომ ჰქვია „ავჭალური" და არა, დავუშვათ, „ავლაბრული"? მართლაცდა, მთელი ავლაბარი ხომ კენწვლას აეტანა, ისევე როგორც მთელი თბილისი!

მეტეხის ციხის შორიახლო ცხოვრობდა. ირგვლივ პატარა სპორტული მოედნის ჭაჭანებაც არ იყო. ამიტომ უბნის ბიჭები პირდაპირ ქუჩაში, ქვაფენილზე, დასდევდნენ ბურთს — ეს იყო მათი პირველი „სტადიონი". დავარაშვილების ბიჭი კარგად ურტყამდა კარში, ყველაზე მეტი გოლი გაჰქონდა და ბიჭებიც ყველა თამაშზე — ორთაჭალელებთან, შავსოფლელებთან, რიყელებთან — გუნდის კაპიტნად მას ირჩევდნენ. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ მოსე დავარაშვილი ისე შეეჩვია გუნდის გაძღოლას, რომ მერე სახელგანთქმულ



*მოსე დავარაშვილი (მარცხნივ) და ავთანდილ ხელაძე (1955 წ.)*

35-ე საფეხბურთო სკოლაშიც თავიანთი კლასის კაპიტანი იყო და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებისაც.

ერთ მშვენიერ დღეს ვაკის სტადიონზე ქალაქის მოსწავლეთა საფეხბურთო ტურნირი მიმდინარეობდა. თამაშებს 35-ე სკოლის მასწავლებელი ვანო მეტრეველიც ესწრებოდა. რამდენიმე ფეხბურთელი შეარჩია და საფეხბურთო სკოლაში დაიბარა. მათ შორის მოსე დავარიშვილიც იყო. ლენინის ძველ სტადიონზე შეამოწმეს სისწრაფეში ბურთის ტარებაში, კარში დარტყმაში და სკოლაში ჩარიცხეს.

— რა ვიცოდი, რომ ჩემთან ერთად „აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს" მომავალი დინამოელები შოთა იამანიძე, ლევან ქორდანია და ავთო ხელაძე, — გვიამბობს მ. დავარაშვილი, — მაშინ მათ არ ვიცნობდი, აი მეორე დღეს, 1 სექტემბერს, კი შოთა იამანიძესთან ერთად აღმოვჩნდი სკოლის მერხზე, პირველ რიგში ვისხედით ფანჯარასთან. ლევანი და ავთო სადღაც შუაში ისხდნენ.

ერთდროულად ოთხი მწვრთნელი — ჯუანშერ (პიტუნია) ჭეჭელავა, ოტია ქორდანია, ჯონდო შავდია და ვლადიმერ გვარჯალაძე ავარჯიშებდნენ ბიჭებს, დაახლოებით 20 ყმაწვილს, ხუთ-ხუთს იყოფდნენ, მოედნის კუთხეში მიჰყავდათ და იწყებოდა... ერთი ჯგუფი 15 წუთის განმავლობაში ფეხით კენწვლაზე მუშაობდა, მეორე — თავით „ჟონგლიორობაზე", მესამე — ბურთის ტარებას სწავლობდა, მეოთხე — კარში დარტყმას.

— მართლაც უნიკალური, დახვეწილი სისტემა გვქონდა ჩვენს სკოლაში გაიოზ ჭეჭელავას მიერ შემუშავებული — დასძენს მ. დავარაშვილი, — მსგავსი რამ მე არსად მინახავს. ასეთი მეგობრული სკოლა მართლაც იშვიათია, დღესაც დიდი სიყვარულით ვხვდებით ერთმანეთს ყოფილი მოსწავლეები და მასწავლებლები. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს მწვრთნელებს მატერიალური ანაზღაურება კარგი ჰქონდათ, დღედაღამ ჩვენთან იყვნენ, ჩვენთან ეძინათ, ჩვენთან სადილობდნენ, „ოცდამეთხუტმეტელები" თითქოს დღესაც ვგრძნობთ ქალბატონი „არფენიკას ბორშჩის" გემოს.

— თუ ვინმე დაიკვეხნიდა 35-ე სკოლის მოსწავლეთაგან განსაკუთრებულ საფეხბურთო ნიჭს, ეს უპირველესად მოსე დავარაშვილს ეხებოდა, — გვეუბნება ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი, 35-ე საფეხბურთო სკოლის ყოფილი მწვრთნელი ჯუანშერ ჭეჭელავა — იშვიათი შრომისმოყვარე, კეთილი და თავაზიანი ყმაწვილი გახლდათ. როდესაც ჩვენთან მოვიდა მეხუთე კლასში, შევამჩნიე, ცოტა არ იყოს გაჭიმულად, არაბუნებრივად ეჭირა თავი. მაგრამ სულ მალე გამოასწორა ნაკლი. მშვენივრად კენწლავდა ბურთს თავით, მუხლით თუ ტერფით, აშკარად ეტყობოდა ბავშვობაში „ავჭალური" სკოლა, ავლაბარში რომ გაიარა ტოლ-ამხანაგებთან. აი, სისწრაფეში კი, ცოტა მოიკოჭლებდა. ამიტომ ბაკურიანში სამკვირიან საზაფხულო შეკრებაზე, იაგორას ველზე, ყველაზე მეტს დარბოდა ბურთით თუ უბურთოდ, ტანსაც გულდასმით იკაჟებდა სუსხიან ჩანჩქერის წყალქვეშ მდგარი, ისე რომ, ჩვენს მრავალნაცად „ფიზრუკს" — შოთა მერკვილაძესაც — კი უკვირდა. მოსეს განსაკუთრებით მოსწონდა ბურთის გაჭიმული ტერფით დარტყმა, ეგრეთ წოდებული „პადიომით". სულ მეხვეწებოდა, ბატონო პიტუნია, თუ შეიძლება, კიდევ მაჩვენეთ თქვენებური დარტყმა. მეც ცარცით ნიშანს ვადებდი ბუცებსა და ბურთს, მერე ეს წერტილები ერთმანეთისათვის უნდა დამემთხვია. უნდა გენახათ მოსეს სიხარული, როდესაც ერთ-ერთი ვარჯიშის დროს პირველად გამოუვიდა ეს ტექნიკურად რთული დარტყმა. მერე მას მუდამ მშვენივრად ასრულებდა.

1953 წელს 35-ე სკოლის საუკეთესო ფეხბურთელები — შოთა იამანიძე, ალიოშა ჩიჩუა, ზურაბ მაჭარაშვილი, შალიკო კაკაბაძე, თენგიზ პეტრიაშვილი, ვიქტორ გვიმრაძე, ვასო ივანოვი და მოსე დავარაშვილი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში შეიყვანეს. მწვრთნელებმა არჩილ კიკნაძემ და მიხაილ მინაევმა თავიანთ გუნდში მიიწვიეს აგრეთვე სოხუმელი იური კურტანიძე, ოჩამჩირელები გარი სორდია, სლავა არშბა და სხვანი. ტალინში წაიყვანეს ჭაბუკთა საკავშირო პირველობის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობისათვის. ხუთივე მატჩი მოიგეს ჩვენებმა საერთო ანგარიშით 33-0. ეს ნამდვილი სენსაცია იყო. ჩვენი ნაკრების „მშრალი" მეკარე 35-ელი ვასია ივანოვი გახლდათ. ესტონეთის დედაქალაქიდან ლენინგრადში გადაინაცვლეს ფინალურ ტურნირზე. მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ ქართველი ჭაბუკები — მინიმალური ანგარიშით 0-1 წააგეს მოსკოვის გუნდთან, უკრაინელებთან კი ფრედ (1-1) ითამაშეს და მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

მომდევნო წელს არჩილ კიკნაძეს მიხეილ ბერძენიშვილი ეხმარებოდა. ჩვენი გუნდი ახლა ასე გამოიყურებოდა: ვ. ივანოვი, რ. ჭანჭალეიშვილი, შ. სიჭინავა, თ. პეტრიაშვილი, მ. დავარაშვილი, (ა. კიკნაძემ იგი თავდასხმიდან გადაიყვანა ნახევარდაცვაში), ვ. გვიმრაძე, ზ. მაჭარაშვილი, გ. სორდია, ი. კურტანიძე, შ. კაკაბაძე, შ. იამანიძე, ა. ჩიჩუა. ჯერ იაროსლავლში ითამაშეს ოთხთა ტურნირზე: მოუგეს უკრაინას (1-0), სომხეთს (3-0), რუსეთს (2-1), მერე მინსკში სძლიეს მოსკოვს (1-0), ბელორუსიას (2-1), უკრაინას (1-0), ლიტვას (4-1) და უზბეკეთს (5-0). გამარჯვებულის ბროლის თასი საზეიმო ვითარებაში გადაეცა ჩვენი გუნდის კაპიტანს შოთა იამანიძეს. თამაშებს ცნობილი სპეციალისტი კონსტანტინ ბესკოვი ესწრებოდა. ტურნირის შემდეგ მან განაცხადა, რომ ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში სხვებთან ერთად აჰყავს ჩვენი სამი ფეხბურთელი — შოთა იამანიძე, მოსე დავარაშვილი და ალიოშა ჩიჩუა. აგვისტოში ისინი მოსკოვში გამოიძახეს შეკრებაზე — სექტემბერში უნგრეთში ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა გამგზავრებულიყვნენ. „დინამოს" სტადიონზე ვარჯიშობდნენ. ამხანაგურ მატჩში მოსკოვის „სპარტაკს" შეხვდნენ. ანგარიში მე-13 წუთზე გაიხსნა. ბურთის ავტორი... მოსე დავარაშვილი იყო, რომელმაც საჯარიმო დარტყმით დაახლოებით 25 მეტრიდან ლამაზი გოლი გაიტანა მეკარე ვლადისლავ ტუჩკუსის კარში. გამოცდილმა სპარტაკელებმა მაინც შეძლეს ორი საპასუხო ბურთის გატანა ჭაბუკთა გუნდის კარში და 2-1 გაიმარჯვეს. სამწუხაროდ, უნგრეთში იმხანად შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო დანიშნული ჩემპიონატი არ შედგა. ჩვენი ჭაბუკები გულდაწყვეტილნი დაბრუნდნენ თბილისში, თუმცა სულ მალე მაინც გაიხარეს: თბილისის „დინამოს" მაშინდელმა უფროსმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა ბორის პაიჭაძემ, სამივენი აიყვანა თავის გუნდში.

— ჩემი ოცნება ბავშვობიდან „დინამოში" თამაში იყო. ცამეტი წლის რომ გავხდი, ხმამაღლა განვაცხადე, რომ ან დინამოელი ვიქნებოდა ან... თავს მოვიკლავდი! — ეღიმება ჩვენს მოუბარს — მე ხომ იმთავითვე ბორის პაიჭაძის, ავთანდილ ღოღობერიძის, ვლადიმერ მარღანიას, ვლადიმერ ელოშვილის, ნიაზ ძიაპშიპას, ავთანდილ ჭკუასელის თამაშით ვიყავი გატაცებული. დილმის საწვრთნელ ბაზაზე ბატონმა ჯონდო შავდიამ მიგვიყვანა. პაიჭაძემ და მინაევმა ყოველმხრივ შეგვამოწმეს და „დინამოში" ჩაგვრიცხეს.

ცხადია, ახალბედები თავდაპირველად სათადარიგო შემადგენლობაში გამოჰყავდათ. მომდევნო, 1955 წლის სეზონიდან გუნდში სახელმოხვეჭილი მწვრთნელი ანდრო ჟორდანია დაბრუნდა. მოსე დავარაშვილმა იმ წელს 10 მატჩი ითამაშა. პირველად იგი მინსკის „სპარტაკის" წინაალმდეგ გამოიყვანეს, რომლის კარს დიდებული მოსკოველი მეკარე ალექსეი ხომიჩი იცავდა. 1-1 დამთავრდა ეს მატჩი. თავის რიგით მეშვიდე შეხვედრაში მ. დავარაშვილმა პირველი გოლი გაიტანა ძირითად შემადგენლობაში.

— სტუმართა კარისკენ, საათის მხა-





*ვახტანგ კუციას ნახატი*

ხე, რომ ჩვენი კაპიტანი გამოექანა ჩემსკენ — „რას შვრები, შე...!" უცებ სიტყვა გაეყინა პირზე — ბურთი ეხვეოდა ბადეში. გულში ჩამიკრა და მაგრად ჩამკოცნა ოფლიან ლოყაზე.

1956 წლის სეზონი მ. დავარაშვილისათვის, სამწუხაროდ, ფაქტობრივად, გაცდა. კიეველებთან მატჩში მეტოქის მარცხენა მცველი ტიბერი პოპოვიჩი უხეშად ეთამაშა ჩვენს ფეხბურთელს და მუხლი დაუზიანა სერიოზულად. სეზონის მიწურულს, ოქტომბერში, მ. დავარაშვილი მაინც ათამაშეს რამდენიმე საერთაშორისო მატჩში. ეს იყო ბულგარეთში: სოფიის „დინამოსთან", პლოვდივში „სპარტაკთან" და დიმიტროვოში „მინიორთან". მომდევნო სეზონში მ. დავარაშვილი სულ ხუთჯერ გამოვიდა მოედანზე. გუნდის ახალმა მწვრთნელმა გაიოზ ჯეჯელავამ იგი ახლა დაცვაში გადაიყვანა მარცხნივ. მოსე თვით ელოშვილთან და ძიაპშიპასთან ერთად გამოდიოდა აქ — ცვლიდა დაშავებულ ხოჭოლავას. მ. დავარაშვილი 1957 წლის 7 ივნისის ცნობილ მატჩში ინგლისის ბრწყინვალე გუნდის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" წინაალმდეგაც (მასში დიდებული ცენტრფორვარდი დერეკ კევანი გამოდიოდა) ათამაშეს. პირველი ტაიმი ჩაატარა, მეორე ნახევარში კი იგი ალიოშა კოტრიკაძემ შეცვალა. გახსოვთ, ალბათ, ჩვენი „დინამო" იმ დღეს სასტიკად დამარცხდა 0-3.

კარგი, ტექნიკური, ასე ვთქვათ, მშვენივრად „დაყენებული" დარტყმა ჰქონდა მოსე დავარაშვილს. მას მართლაც დიდებულად გამოსდიოდა დარტყმები გაჭიმული ტერფით, ეგრეთ წოდებული „პიტუნიას დარტყმები". ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუყვანია ზუსტი პასით სახიფათო გარღვევაზე თავისი ძველი თანაგუნდელი 35-ე საფეხბურთო სკოლიდან მიხეილ მესხი!

როდესაც „დინამოში" თავი დაანება თამაშს, მ. დავარაშვილი ქუთაისის „ტორპედოში" გადაიყვანა ანდრო ჟორდანიამ. მოსე აქ 1958-1959 წლებში თამაშობდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული მოსე დავარაშვილი 10 წლის განმავლობაში თავისი სპეციალობით — იურისტკონსულტად მუშაობდა, მერე, 12 წლის მანძილზე „ნორჩი დინამოელის" მწვრთნელი გახლდათ ომარ უშვერიძესთან, ბორის სიჭინავასთან, ოთარ გეგეჭკორთან და სხვებთან ერთად.

ვამთავრებთ წერილს მოსე დავარაშვილზე და გვინდა ერთი, ცოტა არ იყოს, კურიოზული ამბავი გავიხსენოთ მისი მონაწილეობით: 1949 წლის 7 ნოემბერი იდგა. 35-ე სკოლის მოსწავლეები მშრომელთა დემონსტრაციაზე გამოდიოდნენ ცალკე კოლონად. მთავრობის ტრიბუნის წინ ბურთებზე მოკალათებულმა ნორჩმა ფეხბურთელებმა იმპროვიზირებული „სტადიონი" შემოხაზეს. მოულოდნელად ავტომანქანა „პობედიდან" 22 ჭაბუკი ფეხბურთელი გადმოხტა, იქვე გაჩნდა აყლაყუდა მსაჯიც გოგი ცნობილაძე და გაჩაღდა „ორი გოლის" თამაში. რომ იტყვიან: „ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!" მერე დაიწყო შეჯიბრება თავით ბურთის კენწვლაში. ვისაც ბურთი ძირს დაუვარდებოდა, პაექრობას ეთიშებოდა. ოთხი ფეხბურთელი შემორჩა ამ საინტერესო ტურნირს — ზაურ კალოევი, ლევან ქორდანია, შალვა კაკაბაძე და მოსე დავარაშვილი. 500, 515, 521... ახლა ბურთით მხოლოდ კალოევი და დავარაშვილი დარჩნენ. ნერვიულობდნენ სანახაობის ორგანიზატორები — „დუელი" მეტისმეტად გაგრძელდა, ნორჩ ფეხბურთელებს კი მოედანზე დაწოლილებს (რათა მთავრობის წევრებს საკმაოდ დაბალი ტრიბუნიდან ადვილად წაეკითხათ „ტექსტი") ცოცხალი „ასოებით" უნდა დაეწერათ სიტყვები: „დიდება დიდ სტალინს"! გაიოზ ჯეჯელავას ფერი დაეკარგა, ამაოდ უბერავდა სასტვენში: „გეყოფათ, თქვე...!" გაგიგონია?! ბოლოს მაინც მოსემ „ინამუსა" — ბურთი დაიჭირა ხელში, აი, ზაური კი განაგრძობდა კენწვლას — ვითომ არაფერი ესმოდა!

— ასე „მომიგო" ზაურ კალოევმა ის დაუვიწყარი ორთაბრძოლა — სიცილით ამთავრებს სიტყვას ჩვენი რედაქციის სტუმარი.

**ოთარ ნოზაძე**

## მსოფლიო პირველობები • ჭადრაკი. შაში

### ახალი ჩემპიონი

იჟევსკში (რუსეთი) დამთავრდა მსოფლიო პირველობის მატჩი ასუჯრიან შაშში რუსეთელ მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონ ალექსეი ჩიჟოვსა (იჟევსკი) და პრეტენდენტ ალექსანდრ შვარცმანს (მოსკოვი) შორის.

პრეტენდენტს ბოლო ორ პარტიაში ჩემპიონობის მოსაპოვებლად ან ერთი პარტია უნდა მოეგო, ან შეხვედრები ყაიმით დაემთავრებინა. შვარცმანმა ერთი შეხვედრა მოიგო და ახალი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

### ვინ იცის?!

ვაჟთა მსოფლიო ოლიმპიადებში, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, ყოველთვის, ყოვლად უპრობლემოდ იმარჯვებს რუსეთის ნაკრები, თუმცა რა მოხდება ახლა ელისტაში, წარმოიდგინეთ, არავინ იცის.

ითამაშებს კასპაროვი? მოინდომებს მის მხარდამხარ გამოსვლას კარპოვი? ესეც არ იყოს, იგი ხომ ახლა საკმაოდ სუსტად თამაშობს.

გუნდის კანდიდატების სიის ოდნავ მაინც დასადგენად, რუსეთის საჭადრაკო ფედერაციამ გადაწყვიტა სპეციალური შესარჩევი შეჯიბრების გამართვა. მას „რუსეთის თასი" დაერქვა და 12 დიდოსტატი მონაწილეობს.

ბრძოლა დიდი სიმწვავით გამოირჩევა და ახლა 8 ტურის შემდეგ ზვიაგინცევი და ხალიფმანი ლიდერობენ 5,5-5,5 ქულით.

# მარტინა ჰინგისი სეზონს არ ემდურის

**რას ფიქრობს მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი მარტინა ჰინგისი ამჟამად ნიუ-იორკში მიმდინარე აშშ-ს ღია პირველობასა და, საერთოდ, ჩოგბურთის სხვადასხვა პრობლემაზე?**

● ***რას ელოდით ფლეშინგ მიდოუს სტარტისაგან?***

— მე გამახარა სტარტზე მოპოვებულმა გამარჯვებამ. მით უმეტეს, ამ შეჯიბრების წინ დავმარცხდი ზედიზედ სამ საერთაშორისო ტურნირში. ჩემი მძლეველები მსოფლიოს პირველ ათეულში შემავალი ჩოგბურთელები იყვნენ.

● ***ამ დამარცხებებმა თქვენს რწმენაზე ხომ არ იმოქმედა?***

— რა თქმა უნდა, მე ახლა ისე არა ვარ დარწმუნებული ჩემს ძალებში, როგორც შარშან ან ამ წლის დააწყისში, მაგრამ თანდათან ვაუმჯობესებ თამაშს.

● ***როგორ მოქმედებს თქვენზე დამარცხება?***

— მთელი დღით ავად ვხდები, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება. გადის დრო და ისევ ვიბრუნებ ძალას.

● ***ტრეისი ოსტინმა აშშ-ს ღია პირველობა 16 წლისამ მოიგო (1962 წელს). მაგრამ მომდევნო წელს დამარცხდა და ეს გარემოება იმით ახსნა, რომ შეყვარებული გაუჩნდა. თქვენს მატჩზე ოსტინი ტრიბუნაზე იჯდა, გაკვირდებოდათ და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ თქვენც იგივე გემართებათ, რას იტყვით ამის შესახებ?*** (ჩოგბურთის სამყაროში ყველამ იცის, რომ მარტინას ჰყავს შეყვარებული — ახალგაზრდა ესპანელი ჩოგბურთელი ალონსო. მაგრამ ჰინგისმა არ მოისურვა ამ თემაზე საუბარი).

— დიახ, მან მართლაც მოიგო, ჩემზე ერთი წლით ახალგაზრდამ, აშშ-ის ღია პირველობა. მაგრამ მაშინ ცოტა სხვა დონის ჩოგბურთს თამაშობდნენ. ერთი თვის შემდეგ 18 წლის გავხდები — ოსტინმა 16 წლისამ გაიმარჯვა, 17 წლის დამარცხდა. ისე, რომ, ეს ანალოგია ჩემთვის სახიფათო არ არის.

● ***თქვენ დაკარგეთ თამაშის სიმწვავე.***

— ასაკთან ყველაფერი იცვლება, გაგებაც სხვანაირია. გინდა მეგობრებთან ერთად იყო, სხვადასხვა სურვილიც გიჩნდება, რომელსაც ჩოგბურთთან საერთო არაფერი აქვს. მაგრამ ამასთან ერთად, შეიძლება საკუთარი ძალების რწმენის შენარჩუნება, გრძნობა იმისა, რომ არ უნდა დამარცხდე.

● ***ამის მიუხედავად, თქვენ წაგება დაიწყეთ.***

— დიახ, მაგრამ ისეთ მოთამაშეებთან, ვისთანაც წაგება სამარცხვინო არ არის. თუმცა, არც მათთან დამარცხებაა სასურველი და ბოლოს, არასოდეს დავმარცხებულვარ ისეთ მოთამაშესთან, რომელიც პირველ ათეულში არ შედის.

● ***მოსაწყენი ხომ არ არის ამდენ ხანს მსოფლიოს №1 ჩოგბურთელობა?***

— ამას ყველა სხვადასხვანაირად აღიქვამს. მონიკა სელეშს, მაგალითად, ნამდვილად აქვს ნათქვამი, რომ მოეწყინა მსოფლიოს №1 ჩოგბურთელობა. მან ეს წოდება მეტისმეტად იოლად მოიპოვა. 1991 წელს იგებდა და აგებდა, იგივე 1992 წელსაც გაიმეორა. უკვე შეეჩვივნენ მის გამარჯვებებს. ჩემთვის კი ყველაფერი გაცილებით უფრო რთულად წარიმართა. არავინ ელოდა ჩემგან წარმატებებს, მაგრამ გავიმარჯვე თითქმის ყველა ტურნირში, სადაც კი მივიღე მონაწილეობა. ეს მართლაც „დიდი“ წელიწადი იყო (იგულისხმება 1997 წელი). ახლა მეორეა. ახალგაზრდა ვარ, მარაგში კიდევ მაქვს რამდენიმე წელი.

● ***თქვენ თვითონ როგორღა აფასებთ მიმდინარე სეზონს?***

— იგი ჩემთვის არც ისე ცუდი იყო, როგორროც ამას ზოგიერთი ტელეკომენტატორი და ჟურნალისტი წარმოგვიდგენს. სისტემატურად მესმის: „მარტინა ჰინგისს ხიბლი აქვს“. დიახ, მიგებენ ხანდახან, მაგრამ ამას ყველა როდი ახერხებს. შესაძლოა, ისეთნაირად ველარ ვთამაშობ, როგორც შარშან, მაგრამ ახლაც საკმაოდ ბევრს ვიგებ და ეს ბედნიერების გრძნობას მანიჭებს. ავიღოთ, მაგალითად „დიდი მუზარადის“ შეჯიბრებები. პირველში, ავსტრალიაში გავიმარჯვე კიდეც, ფრენჩ ოუპენსა და უიმბლდონში კი ნახევარფინალამდე მივედი. ახლანდელი, მეოთხე დაიწყო, იგი წელს უკანასკნელია და ბევრისთვის ძალიან მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით იმ ჩოგბურთელებისთვის, რომლებსაც „დიდი მუზარადის“ ასპარეზობებში საერთოდ არ მოუპოვებიათ გამარჯვება. ახლა, ასე ვთქვათ, მათი უკანასკნელი ცდაა.

„ფლეშინგ მიდოუს“ კორტებზე მრავალი საინტერესო მატჩის გარდა საკმაო აჟიოტაჟია, რომელიც უშუალოდ შეჯიბრებასთან, შეიძლება ითქვას, ნაკლებადაა დაკავშირებული. ვენუს უილიამსის მტკიცება, რომ მალე მსოფლიო №1 ჩოგბურთელის წოდებისათვის ბრძოლაში მისი მთავარი მეტოქე უმცროსი და სერენა იქნება, ცოტა არ იყოს, არასერიოზულად ჩაითვალა. „სერენა და მე ორმაგ მუქარას ვქმნით, ჩვენ ხომ ერთნი ვართ“ — აცხადებს ვენუსი და მარტინა ჰინგისის დამხობას გულისხმობს. ამჯერად, დებმა მეოთხედფინალამდე ვერ მიაღწიეს, ყველა ფავორიტი კი ბრძოლას განაგრძობს. მეოთხედფინალში გაიმარჯვეს ჰინგისმა, სელეშმა, ნოვოტნამ და შნაიდერმა. ამ უკანასკნელმა განთქმულ შტეფი გრაფს სძლია. ნახევარფინალში ჰინგისმა, რომელიც ახლა გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე, ვთქვათ, ორიოდე თვის წინათ, მოუგო სელეშს — 6:4, 6:4. ვაჟებს შორის მთავარ ბრძოლას სამპრასისა და რაფტერის შეხვედრაში ელიან. გამართლდა სპეციალისტების ვარაუდი, რომ ვერაფერს გახდებოდა ჩილელი რიოსი, რომლის ახლანდელი მზადყოფნა აშკარად არადამაკმაყოფილებელია, მესამე წრეში ანუ მერვედფინალში მას ცნობილმა შვედმა ოსტატმა ლარსონმა მოუგო.



მარტინა ჰინგისი

## კრიმინალური ქრონიკა

# რას უქადის 2 ოქტომბერი ტაისონს

**ორმოცდაათი წლის მძღოლს რიჩარდ ჰარდიკს, რომლის მანქანას მაიკ ტაისონის „მერსედესი“ შეეჯახა, მოკრივემ, საზარდულში მძიმე მუშტი უთავაზა, რის გამოც დაზარალებულმა მონტგომერის სასამართლოში უჩივლა და მძიმეწონოსან ექსჩემპიონის მიმართ საქმის აღძვრას ითხოვს.**

ტაისონის ადვოკატმა კი სასამართლოს თავმჯდომარეს გადასცა თავისი კლიენტის გზავნილი, რომელშიც ნათქვამია, რომ მაიკს თითი არავისთვის დაუკარებია. ამასვე ამტკიცებს მისი მეუღლე მონიკა.

— მე და ჩემი მეუღლე, — წერს განცხადებაში ტაისონი, საგზაო შემთხვევის მსხვერპლი გავხდით. უარვყოფ ყოველგვარ ბრალდებას ჩემს მიმართ.

ჰარდიკი მტკიცედ დგას თავის ვერსიაზე.

— კარგად დავინახე, მისტერ ტაისონმა ინციდენტში ჩარეულ სხვა მძღოლსაც გვარიანი რომ სთხლიშა და მანქანაში ჩავიკეტე უსაფრთხოების მიზნით. მართალია, შემდეგ გავაღე ფანჯარა მის დაცვასთან მოსალაპარკებლად, იგი ცდილობდა დაეშოშმინებინა მოკრივე. მომეჩვენა, რომ ტაისონი გონს მოეგო და მანქანიდან გადმოვედი. სწორედ ამ დროს მივიღე დარტყმა.

სასამართლომ 2 ოქტომბერს დანიშნა საქმის წინასწარი მოსმენა. ტაისონს მკაცრი სასჯელი ელის — 10 წლამდე პატიმრობა.

ცნობა მოვიდა ინდიანის შტატის სასამართლო ინსტანციიდანაც, სადაც ტაისონი ინდიანაპოლისის ციხეში ზანგი ქალიშვილის გაუპატიურებისათვის იხდიდა სასჯელს, საიდანაც ვადამდე თავდებით გამოვიდა. მაგრამ ახლა მის საქმეს გადახედავენ. სხვათა შორის, ტაისონზე კიდევ ერთი დაუმთავრებელი სასამართლო პროცესი ირიცხება. ორი მანდილოსანი უჩივის მაიკს, რომ ამ გაზაფხულზე ვაშინგტონის ერთ-ერთ რესტორანში საჯაროდ შეურაცხყო ისინი და თავს დაამხო მაგიდა.

### ამჯერად ციხე არ ასცდება

პირგამეხებულმა მსოფლიოს ექსჩემპიონმა მძიმე წონის მოკრივემ მაიკლ დოქსტმა ჯერ გააუპატიურა, მერე კი გვარიანად მიბეგა თავისი საცოლე.

გოგონამ პოლიციას მიმართა და მოძალადე მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს. გაირკვა, რომ მოკრივე რამდენიმე საათს აბუჩად იგდებდა მეგობარს და მსხვერპლი ჰოსპიტალში მოასულიერეს, ნაბეგვი და ჭრილობები დიდხანს არ შეუხორცდება.

მაიკლმა 1982 წელს მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა და მას კარგად იცნობს პოლიცია, რადგან არაერთგზის ჰქონია პრობლემები კოკაინთან დაკავშირებით, 33-თვიანი დისკვალიფიკაციის გამო, 1987 წელს რინგიდან წავიდა. სამი წლის შემდეგ ამ ნივთიერების შენახვისათვის დოქსი დააპატიმრეს, მაგრამ მალე გამოუშვეს და გააფრთხილეს, რომ თუ კიდევ „ჩავარდება“, ციხე არ ასცდება... მას ახლა პატიმრობა ელის.

### ჯარიმით გადაურჩნენ

ბერლინის სასამართლომ დაამთავრა „დინამოს“ მოცურავეთა ყოფილი გუნდის მწვრთნელებისა და ექიმების საქმის გარჩევა. მსჯავრდადებულთა დანაშაული აშკარაა: გდრ-ის სპეციალისტები მრავალი წლის განმავლობაში ნორჩ მოცურავე გოგონებს დოპინგით სჭყიპავდნენ.

და აი, ამ დღეებში სასამართლომ ორი უკანასკნელი დამნაშავე მწვრთნელი როლფ გლიაზერი დააჯარიმა 7.200 გერმანული მარკით (4 000 ამერიკული დოლარი), ექიმი დიტერ ბენური — 9 000 მარკით (5 000 დოლარი).

## დოპინგი

# „ფესტინას“ საქმე

„ლელოს“ მკითხველებს უნდა ახსოვდეთ წლევანდელ „ტურ დე ფრანსში“ საფრანგეთის, ავსტრალიისა და შვეიცარიის ველომრბოლთაგან შემდგარი „ფესტინას“ გუნდის წევრთა მიერ დოპინგის მოხმარებასთან დაკავშირებული სკანდალი.

ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ამ გუნდის მრბოლები არც ერთ შეჯიბრებაში არ დაიშვებიან ვიდრე მალალჩინოსნები არ დაადგენენ სანქციებს, რომლითაც დაისჯებიან დამნაშავენი. ეს ჯერ 13 სექტემბერს უნდა გადაწყვეტილიყო. მაგრამ 1 ოქტომბრისათვის გადაიტანეს სხდომა.

# ჩემპიონატის ბედი ბოლომდე მაინც არ გარკვეულა

ეს გახმაურებული ამბავი, რის შესახებაც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, თითქმის დასასრულს უახლოვდება. ნორვეგიის მთავრობამ მოწყალებით გადახედა 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც ამ ქვეყანაში უნდა ჩატარდეს, გადაუხვია კანონს, რომელიც იქ კრძალავს ალკოჰოლური სასმელის რეკლამას და ნება დართო ცნობილ გერმანულ ლუდის კონცერნ „ბერშტაინერს“, რომელსაც ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციასთან დადებული აქვს ხელშეკრულება, შეჯიბრების დღეებში ყველგან განათავსოს რეკლამები, მაგრამ ეს ნებართვა საკმაოდ ცალმხრივია, იგი არ დააკმაყოფილებს ლუდის მეწარმეთ, რადგან ნებართვა ითვალისწინებს ჰოკეისტთა სამოსზე ლუდის რეკლამას და ორად ორ სარეკლამო ფარს, რომელიც ტელეკამერის არეში მოხვდება ყინულის სასახლის სარბიელზე. ეგ არის, და ეგ. ხელშეკრულებაში კი გათვალისწინებულია, რომ რეკლამა უნდა განთავსდეს ყველგან. ცხადია, კონცერნის უფლებები იზღუდება და [illegible] სამართლიანად მოითხოვს ფინანსური პირობების გადასინჯვას, ამდენად, ჩემპიონატის მასპინძლებს სრულიადაც არ მიაჩნიათ მთავრობის გადაწყვეტილება თავიანთ გამარჯვებად.

ახლა სიტყვა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციაზეა, რომლის ხელმძღვანელობა ამასთან დაკავშირებით სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს 15 ოქტომბერს ტორონტოში. საქმე ის არის, რომ ალკოჰოლის ამკრძალავი კანონის გვერდის ასახვევად კონცერნი რბილი ხარისხის ლუდის რეკლამას შეუდგა, რაც არ იყო აკრძალული და ეს „ბერშტაინერს“ [illegible] აძლევდა ხელს. მისთვის მთავარი იყო ის, რომ ცისფერ ეკრანსა და პრესის ფურცლებზე კომპანიის სახელწოდება გამოჩნდებოდა.

ამიტომ 1998 წლის იანვარში, ნორვეგიაში, ეს „ხვრელიც“ ამოავსეს — მიიღეს ახალი კანონი, რომელიც კონცერნს „მსუბუქი ლუდის“ რეკლამის საშუალებასაც არ მისცემს.

ნორვეგიის ოლიმპიურმა და ჩემპიონატ-99-ის საორგანიზაციო კომიტეტებმა თხოვნით მიმართეს მთავრობას დაეშვას გამონაკლისი. ეს გამონაკლისი დაუშვეს კიდეც, მაგრამ არასრულად. ასე რომ, ჩემპიონატის ნორვეგიაში ჩატარების ბედი ჯერ კიდევ ბოლომდე კვლავ გაურკვეველია.

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მერიის მუნიციპალიტეტის სათბობ-ენერგეტიკის განყოფილების უფროსის

ანზორ პირველის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია და მისი პრეზიდიუმი თანაგრძნობას უცხადებს ლევან პირველს მამის

ანზორ პირველის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ლევან პირველს მამის

ანზორ პირველის

გარდაცვალების გამო.











# ფოტოკროსვორდი
## ვინ არიან ისინი?

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი

(თბილისი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლg7! - ცუგცვანგი,
1. ...მფ:d1 2. მფd3 მფc1 3. ლa1X,
2. ...მფe1 3. ლg1X,
1. ...მფ:e3 2. ლd4+ მფe2 3. ლd2X,
1. ...მფf2 2. ლg1+ მფe2 3. ლe1X და
1. ...f2 2. ლg4+ მფ:e3 3. ეd3X.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 5. ვეტერანი, 6. ანომალია, 8. კასტანედა, 11. კრივი, 14. სერია, 15. რონალდო, 16. ტუსკია, 17. ანგინა, 21. რივალდო, 22. შელია, 23. ფილმი, 26. ფალსტარტი, 27. სტილისტი, 28. სამპრასი. შვეულად: 1. კეტბურთი, 2. მარაო, 3. „ფორდი“, 4. ვიდოვიჩი, 7. ფალკაო, 9. ევაკუაცია, 10. სემინარია, 12. ბოლივია, 13. ადენოიდი, 18. ევერესტი, 19. შამოტი, 20. რამირესი, 24. დაისი, 25. ატომი.

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საშაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშონიძე